140
1966/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა




140/2
58

# პიონერი

7
1966



19 მაისი... საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღე... 22-მილიონიანმა პიონერულმა არმიამ ამ დღეს ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი მზადყოფნა კომუნისტური საქმისათვის, დიადი მომავლისათვის საბრძოლველად, სწავლაში, შრომაში, ყოველდღიურ საქმიანობაში მეტი და მეტი წარმატებების მოსაპოვებლად.

რამდენი ოქტომბრელის გული აძგერდა ამ დღეს უჩვეულო მღელვარებით, —მათ ხომ საზეიმოდ დასდეს პიონერული ფიცი და მიიღეს უფლება, ამიერიდან ატარონ საოცნებო სახელი— პიონერი.

განსაკუთრებული სიხარული ერგოთ წილად თბილისის ლენინის მოედანზე გამართულ პიონერთა საქალაქო შეკრების ყველაზე ნორჩ მონაწილეებს—მათ ვეტერანმა პიონერებმა დაუმშვენეს გულმკერდი ალისფერი ყელსახვევებით.

# 25 წელი

1941 წლის 2 მაისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე.

25 წლის მანძილზე სასახლეში 170.000-ზე მეტმა მოსწავლემ გაიღრმავა ცოდნა მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების ყველა დარგში. ამ ხნის განმავლობაში სასახლის მიერ ჩატარებულ საინტერესო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 2 მილიონზე მეტმა ბავშვმა. სასახლის კაბინეტებს, ლაბორატორიებსა და სახელოსნოებს ამშვენებს პიონერ-მოსწავლეთა თვითნაკეთი ხელსაწყოები, მოქმედი მოდელები, ხელნაწერი ჟურნალები, ხატვის, ფერწერისა და ქანდაკების ნიმუშები, ფოლკლორული მასალები, არქეოლოგიური კოლექციები, ახალმშენებლობათა მასალები, სამამულო ომის სახელოვანი მატიანის, კოსმოსში საბჭოთა ადამიანების გაფრენის, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების სახელოვანი საქმიანობის ამსახველი მასალა-დოკუმენტები და სხვ.

მოსწავლეთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას დიდად უწყობს ხელს სასახლეში ჩატარებული საზრიანობის კონკურსები, ოლიმპიადები, დისპუტები, ვიქტორინები, ზეპირი ჟურნალები, ნორჩ ლიტერატორთა, მხარეთმცოდნეთა, ნატურალისტთა, ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა, მათემატიკოსთა, რადიომოყვარულთა საღამოები.

ყურადღების ცენტრშია დაყენებული მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედების განვითარების საქმე. მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ კოსმონავტიკის, ავტომატიკის, ტელემექანიკისა და გამოთვლითი მათემატიკისადმი.

სასახლის რადიომოყვარულებმა და ავიომოდელისტებმა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში ბევრჯერ დაიკავეს საპრიზო ადგილები, რისთვისაც მათ წილად ხვდათ ასობით სიგელი და ფასიანი საჩუქარი.

სასახლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რადიოსტუდიისა და სასწავლო სტამბის მოწყობა, პიონერული გაზეთის „გაზაფხულის“ გამოშვება.

დიდი გატაცებითა და ხალისით მუშაობენ სასახლის ნორჩი ეთნოგრაფები, ანთროპოლოგები, ლიტერატორები, მუსიკოსები, მოცეკვავეები, სპორტსმენები...



შინაარსიანად მუშაობს სასახლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი, რომლის წევრებს მიწერ-მოწერა აქვთ მოძმე რესპუბლიკებისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების პიონერებთან.

25 წლის მანძილზე სასახლემ არა ერთ მოსწავლეს გაუღვიძა სიყვარული მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი, გამოავლინა ცალკეულ სპეციალობებში მათი ნიჭი და უნარი.

სასახლე ამაყობს თავისი აღზრდილებით!

აქ კვლავაც ბევრი ხალასი ნიჭი გაიფურჩქნება ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**გ. ძნელაძე.**



საყვირისა და დოლის ომახიანი ხმებით ჩაუარეს საქალაქო შეკრებაზე მიმავალმა რაზმებმა თავიანთ საყვარელ სასახლეს.

10036



ბევრ გამოცდილ დიასახლისსაც კი გააოცებს ამ სურათზე გამოსახული გოგონების დახელოვნება სხვადასხვა კერძისა და ნამცხვრების დამზადებაში. მეოჯახეობის კაბინეტმა ცოტა როდი იშრომა მათი დაოსტატებისათვის.



არა მარტო თბილისელები, ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქის მაყურებლები აღფრთოვანებია სასახლის ქორეოგრაფიული გუნდის მიერ ოსტატურად შესრულებულ ცეკვებს.

ფოტო ო. ლუკიანცევისა.

# 25 წელი



სასახლის წევრ პიონერებს მჭიდრო მეგობრობა აქვთ მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, მწერლებთან, წარმოების ნოვატორებთან. ხშირად აწყობენ მათთან საქმიან შეხვედრებს. ამას წინათ, ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა მოეწყო გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა დიდ ჯგუფს.



ესენი რადიომოყვარულთა წრის წევრები არიან, ასე გულმოდგინედ რომ ჩაჰკირკიტებენ რადიოაპარატებს. იცით, რომ არა ერთ რადიომოყვარულს გაუწევია ძვირფასი სამსახური განსაცდელში მყოფი ადამიანებისათვის.





ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველ კუთხეში ჰყავთ თბილისელ პიონერებს გულითადი მეგობრები. და აი, სასახლის 25 წლისთავის ზეიმში სამახსოვრო საჩუქრებით ხელდამშვენებულმა ესტონელმა თანატოლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

განსაკუთრებული სითბოთი ხვდებიან სასახლის წევრები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აფრიკიდან ჩამოსულ სტუმრებს.

ბევრჯერ, ბევრჯერ უსახელებიათ თავი გემთმშენებელთა წრის წევრებს რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებსა თუ შეჯიბრებებზე. მათი ნახელავი მუდამ საერთო მოწონებას იმსახურებს.

პიონერთა რესპუბლიკურ შემოქმედებით კონფერენციაზე ნაყოფიერად იმუშავეს ნორჩმა ბიოლოგებმა. ვინ იცის, მომავალში რამდენი მათგანი მოიხვეჭს სახელს მეცნიერების სარბიელზე.







# წითე ძაღლი

მწერალმა ლადო მრელაშვილმა დაწერა მოთხრობა „სამი ლამის ქრონიკა“. ვბეჭდავთ ერთ თავს ამ მოთხრობიდან.

**ლადო მრელაშვილი**

ჯერ ისევ მთის წვერზე იდგა მზე, ჩვენი ფერმის ბინაში რომ მივედით.

უზარმაზარი წითელი ძაღლი წამოვარდა და შემოგვიტია.

ძია ლუხუმმა გამაფრთხილა:

— სადავე წამოკრიფე და ცხენს თავი დაუჭირე, არ დააფრთხოს, თორემ გადმოგაგდებს.

მეც დავფაცურდი და აღვირის ტოტები დავიმოკლე. სიფრთხილეს თავი არა სტკივა: მართალია, ერთი ბებერი, დარბაისელი ცხენია, რომელიც აქამდე კეტისცემით ძლივს ამოვიყვანეთ, მაგრამ მაინც პირუტყვია, — რას გაიგებ, გუნებაში რა აქვს?

ძია ლუხუმმა ძაღლს შეუტია და დაწინაურდა.

თაფლა კვიცი აიყალყა და ტოტი დაჰკრა.

მარჯვე ჩანდა წითელი ძაღლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელვის უმალ გაუსხლტა და უკანიდან წამოუარა.

— მარცხნივ დაიჭი და მომეფარე, თორემ იგეთი წყეულია, ძირს ჩამოგიღებს.

ვუცხუნე წკეპლა ჩემს მერანს და ქუსლი ვკარი.

გინდა ბატრიონის გალავანისთვის შემოგიკრავს და გინდა მისთვის. — ყურიც არ გაუბერტყია.

ისევ ლუხუმმა მიხსნა: კვიცს უკან დაახევინა და ძაღლს ჯოხი მისცა პირში.

ბინიდან მაღალი კაცი გამოვიდა და ჩვენკენ გამოიქცა.

— ორუჯ, აქეთ, ორუჯ! ჰაგაგა, შე საძაგლევ! — ყვიროდა კაცი და თან მორბოდა.

ძაღლმა დაღრღნა ჯოხის წვერი და ცხენს შემოუტია.

ცხენმა ტყუპი წიხლი ჰკრა და გვერდზე გახტა.

ძაღლმა წიხლები აიცდინა და ისევ მიეტანა, ბინიდან გამოვარდნილმა კაცმა მოასწრო, ზედ გადააჯდა და ყელ-კისერზე მოდებულ გრძელ ბალანში ხელი სტაცა. ძაღლმა გაიწია და კაციც გაითრია.

ამასობაში ქოხთან მივედით და ჩამოვხტით.

როგორც კი ქოხთან დაგვიგულა, ძაღლი მაშინვე გაჩერდა. კაცი ერთი კიდევ შეუწყრა, კისერი ალერსით მოუთელა, გადმოალაჯა და ჩვენთან მოვიდა.

— რატომ არ დაიძახე, ხომ იცი, რომ ალის ნაგლეჯია?

— რა ვიცოდი, თუ ბინაზე გეყოლებოდა? — ცხენს ბაკის სარზე აბამდა ლუხუმი.

— მწყემსმა გააჯავრა და გამოექცა, აღარ ეკარება.

დამხვდური — ჩვენი ფერმის გამგე ბერდია გამოდგა. მოვიდა და კისერზე მომიტყაპუნა:

— სანდროს ბიჭი ხარ? — ცხენს ხურჯინი მოხსნა და ლუხუმს სამფეხა მიუდგა. — პური ხომ არა გშია?

მადლობა მოვახსენე: ძია ლუხუმის ბინაზე ვჭამე ახლახან-მეთქი.

ლუხუმის ფერმის ერთი ბრიგადა ჩვენი ფერმის მოსაზღვრეა ჰყავთ და მონაძმეები არიან. როცა მთაში მიდიხარ, ჯერ მათ ბინაზე უნდა გამოიარო.

ცხვარი მალე მორეკეს და მოწველეს. იჭაურობა რძის მსუყე სუნით გაიჟღინთა.

მამაჩემმა, ნიშნად სიყვარულისა, ქეჩოში წამომავლო და გაიკვირვა: მთაში მართლა ამოხვედიო?

როგორც კი რძეს დვრიტა უქნეს, ჩემი მიტანილი ხურჯინი მიითრიეს.

არყიანი ხელადა და კიტრ-პამიდორი ჩვეულებრივი ნობათია ბარიდან ამომსვლელისაგან, მაგრამ ახალი თევზი?!

სუფრა გაშალეს, ლუხუმი თავში მიიწვიეს. უმალ წყრთიანი კაპუეტები დაითრიეს. ბოლოს ყველამ თქვა: ეგეთი კარგი ვახშამი მეფე ერეკლესაც არ ექნებოდაო.

დაწვრილებით მაამბობინეს ჩემი თევზაობის ამბავი და მერე ივანეს მოკლულ ცხენზე იცინეს.

— იმას მინდორში მეველეედ რა უნდა? — ხითხითებდა ბერდია, — აქ უნდა ამოიყვანო, — იმ წყეულ დათვს მოგვაშორებდა.

— ღმერთმა დაიფაროს, — აჩქარდა მამაჩემი, — დათვის მაგიერ ჯერ ჩვენ გაგვწყვეტდა, მერე ძაღლებს.

— კარგი, მოეშვით იმ საწყალ დათვს. თვითონ ხომ მოგეშვათ, — საცვეთებზე იწმენდდა თითებს მამუკა.

ლუხუმმა სიგარეტი მოიგდო პირში, ცეცხლიდან ნაკვერჩხალი გამოჩხრიკა და მერე იმდენ ხანს აგორავა ხელისგულზე, სანამ პაპიროსს არ მოუკიდა.

— ის დათვი თქვენ კი მოგეშვათ, მაგრამ გუშინწინ ჩვენი ფერმის მეთერთმეტე ბრიგადიდან წაუყვანია... — თევზის თავს წუწნის მამაჩემი, — წუხელ მთელი ღამე იწია. არაფრით არ მოვეშვი. მერე წავიდა ბურდღუნბურდღუნით, ალბათ ერთ კვირას მაინც დამადგება უმძრახად.

— შენ არხეინად იყავი, მალე მოგაკითხავს. მოიტა, ბიჭო, ე არაყი, ერთიც ჩამაცეცხლე! — მამუკა არაყს „ცეცხლავს“ და მერე სიამოვნებით ისვამს ულვაშებზე ხელს. — თუ წუხელ ლუხუმისგან მაინც არ წაიღო, ამაღამაც მოვა.

— რა უნდა ვუყო? ძაღლები დამიშინა მაგ წყეულმა, — რაც მოხვდება ხელში, ყველაფერს ესვრის.

— ორუჯა წაიყვა, — ურჩევს ბერიკაცი. — ეგ დათვს არ გაექცევა.

— დათვს არა, მაგრამ მე გამირბის, — ჩივის მამაჩემი. — არა ჩერდება ცხვართან.

— შენზე ნაწყენია. იმ დღეს ჯოხი არ უნდა დაგერტყა, — ამბობს ბერდია.

— მაშ რა მექნა, კაცო, კინაღამ შეჭამა ის საწყალი კაცი, ძლივს გავაგდებინე პირიდან.

— პირველად მესმის ორუჯა, — მეც ვერევი საუბარში. — ძაღლის სახელი გაგითავდათ?

— ეგ ერთმა სალიანელმა თათარმა მაჩუქა შირვანში და ყონაღის პატივსაცემად იმისი სახელი დავარქვი, — მეუბნება ფერმის გამგე.

„აი პატივისცემაა! — გავიფიქრე ჩემთვის. — ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებელს ერთი ბებერი მეძებარი ჰყავს და ახლაც ფრანცკოს ეძახის“.

— აი, შენ რა ჰქენი, — ურჩევს მამაჩემს მამუკა, — წაიყვანე ამაღამ ორუჯა და, თუ არა დგება, იმ გეზზე დააბი, საიდანაც დათვი მოდის. დათვს ერთი გეზი აქვს — პირაღმიდან პირდაღმა წამოვა, გაირბენს ფარაში და გაიტაცებს. წაიყვა ორუჯა და იმ გეზზე დააბი. თუ წუხელ არაფერი იგდო ხელთ, ამაღამაც მოვა.

ბევრი რამ ითქვა, სანამ ხელადა დაიცლებოდა. მერე საღამომაც მოგვისწრო. ლუხუმმა მოგვიანებით ახსნა ცხენები და წავიდა.

მამაჩემმა დიდად დაუმადლა ჩემი მთაში ამოგვრა და თვითონაც წამოდგა ცხვრის გასარეკად.

მე გავოცდი:

— სხვაგან რომ იყო, ახლა აქეთ უნდა მოდიოდე და, სად მიხვალ?

— საღამოთი წაიხემსებს ცხვარი, მერე კი ალხაჯზე დაეყრება, შვილო.

— ბინაზე არ მოგყავთ?

— ბინაზე მოსაწველად მოგვყავს. ქოხში ნაბადია. ღამე თბილად დაიხურე, მთამ სიგრილე იცის. ცეცხლთან ახლო არ დაწვე. შეიძლება ძილში ან ნაბდის კალთა გადაგივარდეს და ან შენ დაიწვა რამე. აბა, ყოჩაღად იყავი. დილაზე კი მოვალ და ცხვარში გაგატარებ, — დედაბოძიდან ჯაჭვი ჩამოიღო და ორუჯას მიეტანა.

ძაღლი ორჯერ დაუსხლტა, მაგრამ ბერდია მიეხმარა და მაინც დაიჭირა.

უცებ, ავიხირე: გინდა თუ არა, მეც უნდა წამოვიდე ამაღამ ცხვარში-მეთქი.

მამაჩემი უარზე დადგა: ან ძაღლი შეგაშინებს და ან ნადირიო.

— შემაშინებსო? ვის, მე? — გავწიწმატდი. — თქვენ ერთი თოფი მომეცით და ვაზნები ბლომად...

იმდენი ვქენი — სამმა მწყემსმა

რომ ცხვარი გაირეკა, მეოთხე კაცად მე მივყევი უკან.

მთაში უცებ სცოდნია ჩამობნელება. როგორც კი მზე მთებს ჩაეფარება, წამოიშლებიან ჩრდილები, წვებიან იალაღებზე, ფერდობებსა და ღრანტეებში.

ცხვარმა მალე მოძებნა თავისი ღამის საყარი — ალხაჯი. გორის ძირს კლდეს გადაეღლიჯა მკერდი. დაკბილული სარტყლები ქონგურებივით მიუყვებოდა და შრეებად დალაგებულს შორის გაეფინა ნაშალი. საძოვრამდე უწევდა ქვა-ღორღი. კლდის ქვეშ აქა-იქ ძლივს მოჩანდა ქვიშაში არეული დრემლა და ჭუჭყიანი მატყლის ბღუჯები.

ცაზე პირველი ვარსკვლავების კიაფი გორის იქიდან წამოშლილმა ნისლმა მოცელა. მერე შიგადაშიგ მიაგნეს სარკმლებს და იქიდან მიკრავდნენ მოჭიატე თვალებს.

სამცარი სიმყუდროვე იდგა ალხაჯზე, მხოლოდ წყნარი ფშვენა და ცოხნის ხმა ისმოდა.

შორს, ბნელში ჩაძირული ხეობის გაღმა, მთების უბეებში კიაფობდნენ კენტად დანთებული ცეცხლები.

ცივი სიო მისუსხავდა სახეს. ფეხები დამაზრა. თოფი ჩავიხუტე და ნაბადში ქუდიანად გავეხვიე.

ღმერთმა დალოცოს ალაზნის ღამე, მაგრამ მთისას მაინც ვერ შეედრება. თუნდაც იმიტომ, რომ კოღოს ნასახს აქ ვერ იპოვით. მერე როგორი სიმშვიდეა: ათას ჭირ-ვარამსა და ქარ-სეტყვაში გამოჯეკილი მწყემსები უწვანან რიყესავით დაყრილ ფარას და საცრისოდენა თვალებიანი ბომბორა ძაღლები ღრენით გივლიან გარს.

მხოლოდ ავი სიზმრისაგან უეცრად გამოღვიძებული შურთხი თუ დაიყივლებს და სადღაც შორს, კლდის ნახეთქებში, თავის მიუსაფრობას ზოლიანი აფთარი კაცის ხმით მოსთქვამს.

და შრიალი, ჩუმი, იდუმალი შრიალი დგას ყურებში. ამ შრიალითვეა სავსე იალაღი, მთები, ხეობები და ღამე.

ისეთი ღამეა, ასეთ ღამეს ნადირმაც ფარას არ უნდა ავნოს რა.

და მჯერა, რომ ამაღამ არ მოვა დათვი!

მაგრამ დათვი მოვიდა და, მერე როგორი!..

შუაღამემდე არც წამთვლემია. მერე კი ცხვრის ფშვენასა და ორუჯას ყრუ ღრენაში თანდათან შევცურე ძილის მორევში.

გახშირებულმა თოფის სროლამ, მწყემსების ყვირილმა, გამწარებული ძაღლების გნიასმა და დამფრთხალი ცხვრის დგრიალმა გამომაღვიძა.

ჯერ გავიტრუნე, მერე ნაბადი გადავიძრე და ყური წავუგდე. უცებ, გაოგნებისაგან გამოვერკვიე. ფეხზე წამოვხტი, „ცენტრალკა" ვიშიშვლე და ჩახმახი შევწკიპე. სასხლეტში მქონდა თითი გაჩრილი და კუნაპეტში დამფრთხალი ვიყურებოდი.

ქვემო ფერდობიდან ძაღლების გააფთრებული ყეფა ისმოდა.

მწყემსების ყვირილში მამაჩემის ხმა ვიცანი:

— კარგი, ნუღარ ესვრით, ძაღლებს არ მოარტყათ. ჰეი, არჩილ! გამობრუნდი და ცხვარს მარცხნივ მიჰყე! ნიკავ, ძაღლებს დაუძახე და შენც მობრუნდი.

— ორუჯ, ორუჯ! ჩობან, ჩობან! ალმას, უკან, ალმას!

მე აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მერე თვითონ მე, მეცა რაღაცა ფეხებში და გულაღმა დამცა. ჩახმახი დასხლტა და თოფმა გრიალი მოიღო.

უმალ ერთი გადამევლო ზედ, მას მეორე მოჰყვა, მესამეს კი აღარ შეეშალა ნაბიჯი და პირდაპირ მე დამაცხრა.

რა უნდა მექნა? თოფი დაცლილი მაქვს, ირგვლივ კუნაპეტი სიბნელეა და გარშემო მთა-გორები ნადირით ავსილა. ჯიბის დანა რა არი, — ისიც არა მაქვს! ნუთუ ეგრე უბრალოდ უნდა გამაფუჭოს ნადირმა?

— არიქა, მამი, მიშველე! — ვიღრიალე და ნადირს ყელში ვეცი.

— სადა ხარ, შვილო! — დაიბღავლა მამაჩემმა, — რა არი, რა დაგემართა? ნუ გეშინია, მოვდივარ!

— არიქა, მიშველე, აქეთა ვარ!

მამაჩემზე ადრე არჩილმა მომაგნო. გაჰკრა ასანთი და მამაჩემიც მოვარდა შიშველი ხანჯლით.

— აქა ვარ, შვილო, ნუ გეშინია! — და ხელიდან ძლივს გამომგლიჯეს ნახევრად მიმხრჩვალი ცხვარი.

მამაჩემმა და მწყემსებმა ისევ ძაღლებს გასძახეს და ცხვარს გამოენთნენ.

ისევ ატყდა: ორუჯ, ორუჯ! ჩობან, ჩობან! სტვენა და „ჩიიიჰ!"

იდგა ბრაგაბრუგი, ქვიშის ჩხრიალი, ცხვრის დგრიალი და უკან მობრუნებული ძაღლების ღავღავი.

მერე ისევ მომძებნა მამაჩემმა, ჩემს ნაბადსაც დაავლო ხელი, „მომყევიო", მითხრა და ისევ ცხვარს გამოუდგა უკან.

იქამდე ვიარეთ, სანამ იმ გორის წვერზე არ ავედით, რომლის ძირშიც ცხვარი გვეყარა. იქ შეგროვილ ფარას მოვუარეთ ირგვლივ, ძაღლები



ისევ შემოვიკრიბეთ და გათენებას დაველოდეთ.

თოფი ხელახლა გავტენე, ისევ შევიფუთნე ნაბადში და თოფი გვერდით მოვიდე.

ბევრი მეხვეწა მამაჩემი, ჩემთან ახლოს დაწექიო, და მეც ხათრი ველარ გავუტეხე.

უეცრად, შორიეული კვნესის ხმა მოიტანა ხევიდან ნიავმა. ნუთუ ნადირის მოტაცებული ცხვარი გოდებს?!

კიდევ უფრო კარგად წავუგდე ყური და, გულსაკლავ კვნესას შესაბრალისი წკმუტუნი გაერია.

— აბა, ყური დაუგდე, მამი, — ვუჩურჩულე მამაჩემს.

მამაჩემი წამოდგა.

— აბა, ნიკავ, ძაღლები მოათვალიერე, ყველა მანდ არი?

— ყველა რად იქნება, ორუჯა ჯაჭვით შენ არ დააბი?

— აუჰ, სულ არ დამავიწყდა! არიქა, გაიქეცი, შენს გაზრდას, და აუშვი. ეხლა ცხვარს თავს აღარ დაანებებს, ეგ იგეთი ძაღლია.

— ნადირის ხმა პირველად მაგან გაიგო და პირველადაც ეგ ეძგერა, — დაუმატა არჩილმა.

მხოლოდ ფეხის ხმაზე მივხვდი, რომ ნიკა ქვევით დაეშვა.

შემზარავ ყმუილში გადასული კვნესა-წკმუტუნი კი ისევ ისმოდა.

კარგა ხნის შემდეგ ნიკა ამოვიდა და აკეცილი ჯაჭვი მამაჩემს ჩხარუნით მიუგდო.

— შეხსენი?

— შევხსენი.

— კარგი გიქნია. თვითონ რა იქნა?

— იქვე დარჩა.

— დაგვერჩებოდა რამე და თავს არ ანებებს. ჭკვიანი ძაღლია, დალოცვილი.

— არა, კლდის ნახეთქებთან გდია და ვეღარა დგება.

— შეიძლება ფეხი დაიშავა.

— შეიძლება. ვცადე და ვერ წამოვაყენე.

— რა სჭირს?

— არ ვიცი. ვერაფერი ვერ გავარჩიე.

— ასანთი უნდა წაგეღო. არაფერია, დაწე, დაისვენე, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება.

მთელ ღამეს თვალი არ მოგვიხუჭავს არავის.

მთელ ღამეს ფეხი არ ჩაუკრეფიათ ძაღლებს.

მთელ ღამეს ბორგავდა ხევში მდინარე.

და...

მთელ ღამეს ამოჰქონდა ნიავს კვნესაში არეული წკმუტუნ-ყმუილი.

როგორც კი ირიჟრაჟა, მამაჩემს გულმა არ მოუთმინა და ქვევით ჩავიდა.

მე და არჩილიც ჩავყევით.

ვეებერთელა ქვის გვერდით ეგდო წითელი ძაღლი და სუსტად კვნესოდა.

ორიოდ ნაბიჯზე გავჩერდით მდუმარენი.

საბრალო ორუჯა ისეთი თვალით შემოგვყურებდა, თითქოს შველას ითხოვსო.

მამაჩემი ახლოს მივიდა და გასინჯა.

— არაფერი აღარ ეშველება. იმ წყეულს ლოდი უსვრია. მენჯის ძვალი და ხერხემალი დალეწილი აქვს. მამუკამაც მოიგონა სიბრძნე და, მე უარესი გიჟი ვარ... ამისი დაბმა შეიძლებოდა? ეს რომ აშვებული ყოფილიყო, დათვი ვერაფერს უზამდა და არც ცხვარს გაატანდა.

— შეიძლება არც წაიღო, მამი. სისხლი არსად არა ჩანს და მატყლის ბლუჯებიც ძველია ალხაჯზე.

— არა, შვილო, დათვს თავისი კანონი აქვს. არ უნდა შეუშვა შიგ, თორემ თუ გაერია, აუცილებლად აიჩრის და წაიყვანს. აფთარი კი არ არი, — სანამ ერთი ცხვარიც კი ფეხზე დგა, ყელებს სჭრის.

— იქნებ სხვა ძაღლებმა დააგდებინეს?

— რომ დაეგდებინებინათ, ერთ-ერთი ძაღლი მაინც დარჩებოდა და უყარაულებდა.

— ეხლა რა უნდა ვქნათ? — იკითხა არჩილმა.

— არაფერი. რალას ვუშველით? მხოლოდ მენანება, ცოდვაა, რომ ეგრე იტანჯება. აჰა, თოფი და გაათავე.

— შენ თვითონ ესროლე, ძია სანდრო.

— მე არ შემიძლიან. არც ხელი მიზამს და არც გული, ძალიან ამაგდარი ძაღლი იყო. ბერდია გადაირევა, რა ვუთხრა, რომ გაიგებს?

ძაღლს კვნესა შეეწყვიტა და ყველას სათითაოდ ისე გვიყურებდა, თითქოს ჩვენი ყოველი სიტყვა ესმოდა.

მამაჩემი გვერდზე შებრუნდა და არჩილს თოფი გაუწოდა.

ძაღლი ცდილობდა მიშვერილი ლულისათვის თავის არიდებას და სუსტი წკმუილით შებრალებას ითხოვდა.

წვალობდა არჩილიც. როგორც კი ჩახმახის დასხლეტას დააპირებდა, ორუჯა თავს გვერდზე მაშინ გასწევდა.

რამდენიმე წუთს გრძელდებოდა ასე. ბოლოს, ჭკვიანი ცხოველი მიხვდა, რომ სიკვდილი გარდუვალი იყო, თავი ჩამოაგდო, მინავლული თვალებით შეხედა მწყემსს და, შევნიშნე როგორ წამოუვიდნენ ლაპალუპით ცრემლები.

თოფის ხმა არ გამიგია. მხოლოდ მომესმა, ყრუდ როგორ გაიტკაცუნა თავის ქალამ. გახვრეტილი შუბლიდან სისხლი თქრიალით წამოვიდა.

არჩილმა თოფი მიაგდო და გორის წვერისკენ აღმართს ისე შეუყვა, თითქოს უნდოდა, რაც შეიძლება ჩქარა გაქცეოდა აქაურობას.

გადაგდებულ თოფს მამაჩემი დასწვდა ასალებად და მე მის თვალზე პირველად დავინახე ცრემლი.

— ჩემი ბრალია, — ჩურჩულებდა თავისთვის, — არ უნდა დამერტყა ჯოხი. რა პირითღა შევხედავ ბერდიას.

ფარასთან რომ ავედით, ნიკას უთხრა:

— ამ დილით ცხვარს რო მოწველით და გამობრუნდებით, ნიჩაბი გამოიყოლე და ორუჯა დამარხე.

— შენ სადღა მიდიხარ, ძია სანდრო?

— მე წავალ და იმ დათვს მოვძებნი. მანამ არ მოვბრუნდები, სანამ ან ის არ იქნება და ან მე.

— მარტო ვერ გაგიშვებ. თამაშობა ხომ არ გგონია? აი, მოვწველით ცხვარი და მეც წამოვალ.

— არა, თქვენ ცხვარს მიხედეთ. მაგას მე და ლუხუმიც ვეყოფით. ეგრე გადაგვივლი და ბინაში მივუსწრებ. მხოლოდ... — შეყოყმანდა ცოტა ხანს მამაჩემი — ალხაჯი უნდა გამოვცვალოთ. ის ადგილი არ მომასვენებს, სადაც მაგ ძაღლის სული იტრიალებს.

საცვეთები ამოქაჩა, თოფი მხარზე გადაიდო და თავქვე დაეშვა.

ნაბადი მივაგდე და მეც დავედევნე.

მამაჩემი მობრუნდა და გაიკვირვა:

— შენ სადღა მოხვალ?

სადაც შენ მიხვალ, მეც იქ მივდივარ-მეთქი.

ვერაფრით ვერ გამაბრუნა.



— კარგი, წამოდი, — დამთანხმდა ბოლოს, — ლუხუმის ბინაზე დაგტოვებ და ჩვენც მალე დავბრუნდებით.

ლუხუმის ბინაზე ცხენებს კაზმავდნენ. კოტადაკვერცხილი კეხები გამოჰქონდათ ქოხიდან მწყემსებს.

— საით, ლუხუმო? — იკითხა მამაჩემმა.

— ყველი დაჰგროვებია ამ ბინას ბევრი, ბარემ ჩავიტან ალვანს.

— სულ გზაზე უნდა იდგე?

— თუშს მეტი რა უწერია? გზა და იალაღი. შენ თვითონ საით ამგზავრებულხარ შენი ბოკვერით?

მამაჩემმა მოიხსნა თოფი და ჩამოჯდა.

ძაღლის სიკვდილი თუშებმა ისე მოისმინეს, როგორც ოჯახის წევრის დაკარგვა. მოგვისამძიმრეს.

— ახლა რას აპირებ?

— უნდა მოვძებნო ის დათვი და მოვესინჯო ერთი პირისპირ, რა ვაჟკაცია.

— დათვზე შენი მარტო გაშვება არ იქნება. ეტყობა ძუ დათვია და ბელებიცა ჰყავს.

— იმადაც მოვედი შენთან. უნდა გადასდო ბარში გამგზავრება და ეს საერთო ჭირი მოვიშოროთ.

— არ იქნება. ყველი ბევრი დაგროვილა და გუდები აღარ გვყოფნის.

— გუდებს მე გათხოვებთ. ყველი რას ჰქვია. უნდა გამომყვე. იმ ძაღლის სიკვდილმა გამამწარა.

— უცნაური ხალხი ვართ, — გაიცინა ლუხუმმა. — სანამ ეგრე არ გავმწარდებით, მანამდე ყურის გაპარტყუნება გვეზარება... აბა, რა გიყო, მარტო ხომ ვერ გაგიშვებ?! შენ მითხარი, საით წაიღო, და მე გეტყვი, სად უნდა ვეძებოთ.

— ხევს გაღმა ეგდება სადმე, ბურახიანში და, თუ ბელებიცა ჰყავს, შეიძლება ბუნაგიც ჰქონდეს, წყალში გასვლა დაგვჭირდება.

ჩემი თან წაყვანის გადაწყვეტა უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა... ბოლოს ისევ ლუხუმი წამეხმარა: ბალღი ჩემთან იქნება და არა გაუჭირდება რაო.

— მაგის ტოლი რომ ვიყავი, ხუთი დათვის ტყავს ვითვლიდი და სამს კიდევ მგლისას. გაუშვი, წამოვიდეს, ხომ უნდა დაამტკიცოს, რომ დიაცად არ იზრდება.

ლუხუმმა კიდევ ერთი მწყემსი წამოიყვანა, — მარეკად გამოგვადგებაო და დავიძარით.

ცხენები ფრთხილად დადიოდნენ დამრეც ბილიკზე.

ხევს გაღმა მწვანე ფერდობზე შეფენილი ცხვარი ისე მოჩანდა, როგორც ცაზე აბრეშუმის ჭიის პარკი.

ხევს გავედით და ცხენებიდან ჩამოვხტით.

ტყის პირას მოზრდილ ნოტოს ოციოდე წლის ბიჭი მისდევდა.

— ართანელებისაა. იმათი ზოოტექნიკოსი რაღაც ახალ ჯიშს ეჩხირკედელავება და ამ ნოტოს ცალკე აბალახებინებს, — გვითხრა ლუხუმმა და ბიჭს შეუძახა:

— გამარჯობა შენი, კაცო! დათვისა ხომ არაფერი ისმის აქეთ?

ბიჭი წარმოსადეგი იყო. წელზე ფართე ხანჯალი ეკიდა და ხელში გრძელი კავი ეჭირა. გახარებული წამოვიდა ჩვენკენ.

— კარგია, რომ შეგხვდით. აიმ დგნალებს იქით ცხვარია დამარხული. ძაღლმა მიაგნო ეხლახან. დილას თოფის წამოღება დამავიწყდა და ცხვარი უკან გავაბრუნე. მთლად ახალია. იქნება თქვენიც არი. წუხელ აქედან მოისმოდა სროლის ხმა. წამო, გაჩვენებთ.

მცირე ყალთაღის პირას, ნაკაფში აყრილი დგნალების ძირში, ვეება კუნძი. გადმოვაგორეთ და მიწისა და ქვა-ღორღის ქვევიდან ცხვრის ნახევარი გამოვიღეთ. დათვს მთელი მკერდი, დუმა და ბარკლის ნაწილი მოეჭამა, დანარჩენი კი დაემარხა.

ისევ დავმარხეთ.

— გუმანი ხომ არ გაქვს, საით იქნება? — ჰკითხა ბიჭს მამაჩემმა.

მწყემსმა ფიჭვის ტყისკენ გაიშვირა კავი.

— აიმ ფერდობში უნდა ეგდოს.

— მეც ეგრე მგონია, — თქვა ლუხუმმა, — ოთხას-ხუთას ნაბიჯზე შორს არ წავა დათვი დამარხული ნანადირევიდან.

— ერთი ძირიანად მოგლეჯილი ბებერი ფიჭვია. იმის ძირში თუ ექნება ბუნაგი. ჩვენს მწყემსებს უნახავთ ამ წინაზე. ძალიან დიდს ამბობენ.

— იმ ფიჭვამდე ვერ მიგვიყვან?

— რას არ მიგიყვანთ. თავადაც წამოვალ.

ცხენები ტყისპირას დავტოვეთ და მე და ჩვენს ახალ ნაცნობ მწყემსსაც აქ გვიბრძანეს დარჩენა.

მწყემსმა იუარა: მარეკად უნდა მოგეხმაროთო, მეც კი მჭირს ჯავრი მაგ დათვისაო. ჩემს თოფს წაეტანა.

მე, ნურას უკაცრავად, არ დავანებე.

ფიცხი ჩანდა, შემომწყრა, მიმაგდო და ჩვენებს დაედევნა.

ახლა მე გავბრაზდი: უთოფო კაცი დათვზე მიდის, მე კი აქ ქალაჩუნასავით დამტოვეს-მეთქი.

ლუხუმმა დიდად იწყინა.

— ამ წუთსვე გაბრუნდით! — გამოსცრა კბილებში. — აქ სათამაშოდ კი არ მოვსულვართ. თქვენ არ იცით რა წყეულია: გაიგებს და გაიპარება.

არც ერთმა არ დავუჯერეთ. არ დავუჯერეთ და ორივეს ძვირად დაგვიჯდა.

ლუხუმის წინასწარმეტყველება მართალი გამოდგა: ძირიანად მოგლეჯილი ფიჭვის ძირში დათვის ნაწოლი ნახეს. თეგი ჯერაც თბილი იყო.

— აბა, უნდა შევცრათ აქაურობა! — თქვა ლუხუმმა, — შორს არსად იქნება წასული, აქ სადმე ღარტაფში ეგდება. თანაც, მარტო არა ჩანს. აბა, შენ, ჯეილო, — უთხრა ჩვენს მეგზურს, — მაგ ბურახიანს შე-

მოუარე და იმ ხეზე ადი, ერთი ტოტი რომ მოხლეჩილი აქვს. კარგად დაზვერე, სადამდისაც თვალი მიგიწვდება. არ შეგეშინდეს, დათვი ბებერი ჩანს და ვერ ამოვა. შენ, ნოდარ, ამ ფიჭვს ეცი. მე აქ ჩავსაფრდები. თქვენ კი, დანარჩენებმა, ზევიდან წამოუარეთ და თავი შეუკარით, არ გაგეპაროთ. თანაც იხმაურეთ, როცა იქ ახვალთ, და ერთი-ორი სროლაც მიაყოლეთ. აბა, იფრთხილეთ, ავად სადმე არ გადაგეყაროთ. მე აქ ჩავჯდები. ეშმაკი ნადირია, მაგრამ თუ იგრძნო, რომ გზები შეუკრეს, საფარს მოაშურებს. აბა, ეხლავე დაიფანტენით! — ნიავივით ჩაგვიჩურჩულებდა ლუხუმი.

და, როცა ყველანი გაიშალნენ, მე ცალკე კიდევ ერთხელ გამაფრთხილა:

— სანამ ჩვენ სულ არ გავიწყდებით, მანამდე შენ თოფი არ გაისროლო. ეხლა კი აძვერი მაგ ხეზე.

ფრთხილად მივბობღავდი ფიჭვზე და თოფს მივათრევდი. ერთი-ორჯერ კინაღამ კისრიდან გადამძვრა და ძირს ჩამომივარდა. ბოლოს, როგორც იყო, მოვძებნე სასურველი ტოტი. ძლივს მოვასწარი მოხერხებულად დაჯდომა და გამაგრება, რომ საშინელმა ღრიალმა შეარყია ტყე.

— გაიქეცი, განზე გახტი! —იყვირა ლუხუმმა და, თვალი მოვკარი, ბურახიანში ყალყზე დამდგარმა დათვმა როგორ ჩაავლო ვეება პირი ართანელ ბიჭს.

ზედიზედ იგრიალა ხის ძირში შაშხანამ და წაქცეულ ბიჭს ზევიდან გადააწვა წაბლისფერი ბალნის გორა. თხასავით გადაახტა წაქცეულ ხეს სამოცი წლის ლუხუმი, ბურახიანში შევარდა და წაქცეულ დათვს ერთი ტყვია კიდევ ხეთქა თავში.

ბურახიანს ზემოდან მოისმა თოფის ხმა, ყიჟინი და ხმელი ტოტების მტვრევა, ეს — მამაჩემი და მისი ამხანაგი გამორბოდნენ ჩვენკენ სროლით, მოსაშველებლად.

უეცრად, თვალები ვჭყიტე. შიში რა საკადრისია და, მოულოდნელობისაგან კინაღამ ტოტიდან ჩამოვვარდი: პირდაპირ გამორბოდა ცოცხალი დათვი და, ჩემს ხეს რომ მოაღწია, ზედ შემოაბობღდა. მე ხეს მოვეხვიე და ავეკარი. რომ მომიახლოვდა, ავჩქარდი და ვესროლე. არ ვიცი, ვერ დამინახა, თუ ძაღლად არ ჩამაგდო, ფაცხა-ფუცხით აირბინა ჩემს წინ, იქითა მხრიდან, და კენწეროზე მოექცა.

ისე მაღლა ავიდა, რომ კენწერომ ქანაობა დაიწყო.

ვიჯექ და ველოდი, როდის მოტყდებოდა ტოტი და ძირს ბრაგვანს მოადენდა. მაგრამ ტოტი არა ტყდებოდა და მე გაშტერებული მივჩერებოდი უცნაურ საქანელაზე ჩამომჯდარ მხეცს.

— მოდით, მომეშველენით ბიჭებო! — კიდევ იყვირა ლუხუმმა ბურახიანში. —ჩქარა, ამ ბალღს არა დაუშავდეს რა!

მე ფრთხილად გავუყარე თოფის თამასაში ხელი და ფრთხილადვე დავეშვი ძირს. მიწას რომ მივუახლოვდი, ისე ამიკანკალდა ხელები, კინაღამ ჩამოვვარდი. ალბათ წუხანდელმა უძილობამ და ტყის სიგრილემ დამცადა.

დათვს ისე გამოვეპარე, არ შევუმჩნევივარ. როცა ბურახიანში მივედი, ლუხუმი და მამაჩემიც მოსულიყვნენ და უზარმაზარი მოკლული დათვის ქვეშ მოყოლილი ბიჭი გამოყავდათ.

ბიჭი კვნესოდა და სიმწრისაგან იკლაკნებოდა. დაკრუნჩხული თითებით ბლუჯა-ბლუჯა გლეჯდა შამბ-ბურახს.

— ხომ გითხარი, შორიდან მოუარე მაგ ბურახიანს-მეთქი! — ეუბნებოდა ლუხუმი და თან შარვალს ხდიდა. — აბა, ლუკა, შენ გავარდი და ჩემს ცხენს უნაგირზე ნაბადის მისაბმელი თასმები შეხსენი. თუ დიდი ჭრილობაა, ლახტი უნდა დავადოთ.

ლუკა გავარდა.

შარვალი გახადეს. ბარძაყის წინა მხარეს ჭრილობა ვერ აღმოუჩინეს. მარტო უკანიდან აჩნდა ორი ნაკბილარი და სისხლი გასდიოდა.

ლუხუმმა ცერები დააფარა ჭრილობებზე და მამაჩემს უთხრა: ხალათი აუწიე და პერანგის კალთა შემოახიეო.

როგორც იყო შეუხვიეს. ლაზარემ წინდის ორივე სახვევები შეიწყვიტა და იმითი შეკრა.

ახლა კი შეწყდა სახვევში სისხლის ჟონვა.

— აბა, გამაგრდი, ბიჭო, ვაჟკაცი არა ხარ? რამ მოგაფომფლოვა ეგრე?! — გაუწყრა ლუხუმი.

ბიჭს არაამქვეყნიური ფერი ედო სახეზე და შუბლი ოფლით ჰქონდა გაწუწული.

— სხვაგან ხომ არაფერი გაქვს? აბა, დაუკვირდი, გტკივა კიდევ სადმე რამე?

— არ ვიცი, არაფერი არ ვიცი. მარტო ბარკალზე მიკიდია ცეცხლი. — მისუსტებული ხმით ჩურჩულებდა ბიჭი.

— რა იყო, რა დაგემართა, როგორ ვერ მიხვდი, რომ ბურახიანს უნდა მორიდებოდი?! უიარაღო კაცი სადათვეში ისე დაალაჯებ, თითქოს აზარი სამჯერ აგეთავებინოს და თოფიც სამჯერა გქონდეს დამარხული.

ბიჭმა ძლივს გვიამბო, რომ ბურახიანის გარშემოვლა დაეზარა, რადგან დათვის იქ გატრუნვას ასე ახლო არ ელოდა. როდესაც განაბული წამოუხტა, ხანჯლის ამოღება ვერ მოას-



წრო და კავილა მიაგება პირში. პირს ასცდა კავი და მკერდში ეჯახა. მაშინ ჩაავლო გაბრაზებულმა ბარკალში პირი და, ალბათ, შუშასავით დაამტვრევდა, ზედიზედ მიყრილ შაშხანის ტყვიებს რომ არ მოესწრო.

ლაზარემ მისი ხანჯალი ამოაძრო ქარქაშიდან, დაკვირვებით დაათვალიერა და თავი გაიქნია.

— ნახე, რა უქნია, წყეულს! — კინაღამ მეორე მხარეს გაუხედებია.

ხანჯალს, ერთიმეორისაგან გოჯანახევრის დაშორებით, ორი ნაეშვარი აჩნდა.

— არ გამიკვირდა, როგორ გადარჩა-მეთქი! კიდევ კარგი, ამოლება ვერ მოასწარი. ამას უმადლე, რომ ეგ ბარკალი ახლაც ზედა გაქვს.

მერე ისევ ჩააგო და მამაჩემსა და ლუკას მიუბრუნდა.

— არაფერია, ოღონდ დროით უნდა აყვანა ბინაზე, მანდ არი ახლა თქვენი ზოოტექნიკოსი, ბიჭო?

— მანდ არი, — ამოიკნავლა ბიჭმა.

— ჰოდა, დროით უნდა აყვანა. ნადირის კბილია! რა ვიცი, სისხლი არ მოეწამლოს. იქ რამე წამლები ექნებათ. აბა, რაღას უყურებთ? ცხენებამდე მიაციყვანოთ.

— ჩემი ცხენის უნაგირი უფრო რბილია. მუცლით გადავკიდოთ ზედ. არაფერი არ უჭირს, ლახტი დადებულია და ბინაც შორს არა აქვთ, — თქვა ლუხუმმა, როცა ტყიდან გავედით. — უთხარით კიდეც, რომ ჩამოვიდნენ და ნოტოს მოხედონ. თქვენც მალე ჩამოდით და ცხენებიც ჩამორეკეთ. მე და ნოდარი აქ დავრჩებით, დათვს გავატყავებთ და ხორცსაც ავქნით. რაღას ველოდო? — დღესვე ჩავალ ქვევით და ახალ ხორცსაც ჩავუტან ბარში.

როცა ნადირი გავატყავეთ, ტყავი გავზომე და თორმეტი მტკაველი გამოვიდა.

ლუხუმმა ხანჯლის პირველივე ღონიერი მოქნევით მკერდი გაუპო ნადირს, უმალვე გული ამოჰგლიჯა და დიდი მონდომებით გასინჯა.

— აი, კიდევ რამ უშველა იმ უშნო ჯეილს. ნახე, პირველივე ტყვია ბეჭში მოხვდა და შიგ გულში გაუარა. ბედნიერად მისვრია. ავჩქარდი და ძალიან მეშინოდა, დათვის მაგიერ კაცს არ მოვარტყა-მეთქი.

ის იყო წინა მხარი ააჭრა, რომ ხეზე ასული დათვი გამახსენდა. სახელო მოვქაჩე მონადირეს და ყურში ვუჩურჩულე.

— აქამდე სად იყავი? — შეხტა ლუხუმი და თოფს ეცა.

დათვი ისევ ფიჭვის კენწეროზე იჯდა და ქანაობდა. ბალღივით წკმუ-

# ახალი ლექსები

ჯაგუ მეგურიშვილი

## ქორწილში

აგინთია კელაპტრები,
ნეტავ, დედა, რად?
ისევ ისე გენატრები,
ნეტავ, დედა, რად?
თვალებს ცრემლი დაასველებს,
ნეტავ, დედა, რად?
სიზმარშიაც არ გასვენებ,
ნეტავ, დედა, რად?
დაგბინდვია თვალთა სივრცე,
ნეტავ, დედა, რად?
ყველაფერზე შენ გიფიცებ,
ნეტავ, დედა, რად?
მართობს შვილი პაწაწინა,
ნეტავ, დედა, რად?
მეც შესავით აღარ მძინავს,
ნეტავ, დედა, რად?
აგინთია კელაპტრები,
ნეტავ, დედა, რად?
გენატრები—
მენატრები,
ნეტავ, დედა, რად?!



## ნუ იკითხავ

როცა ფოთლები დაიწყებს ცვენას,
მოწყენის მიზეზს ნუ ჰკითხავ ხეთა;
როცა პატარა აიდგამს ენას,
რა უხარია—ნუ ჰკითხავ დედას;
როცა ირთვება ჭალა და ველი,
როცა ტყემლები ქათქათებს ირგვლივ,—
მაშინ მერცხალი ერდოზე მღერის,
არ შეეკითხო—რად მღერის იგი...
აშენებს ბუდეს,
აშენებს იმედს,
შრომა და გარჯა
წილად რგებია...
არა, არასდროს არ ჰკითხო ვინმეს—
ის, რაც უთქმელად გასაგებია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუნებდა და შესტიროდა იქაურობას.

რატომღაც ძალიან პატარა და საცოდავი მეჩვენა.

ფერმის გამგეს მივუახლოვდი და შევეხვეწე: ეგ — ბელი ჩანს და ნუ მოჰკლავ-მეთქი.

ლუხუმმა დაუმიზნა. პირველივე სროლით ჩამოაგდო ძირს. მერე დაცლილი ვაზნა გულგრილად გამოაგდო, ჩახმახი გაუშვა და მომიბრუნდა:

— მტაცებელი ნადირი არ უნდა დაინდო, — ეს დაიხსომე. ეგ ბელი გაიზრდებოდა და ერთ წელიწადში დათვი იქნებოდა.

ბელი ერთხელ კიდევ შეფართხალდა, გაიჭიმა და პირიდან სისხლი წასკდა.

მე დამენანა. თოფი ძირს დავუშვი, თვალი ავარიდე და ზურგი შევაქციე!

მხატვარი

**ზურაბ ფორჩხიძე.**

## ფურმა დაჰკარგა ცალი...

ნისლის ქათქათა ქაფი
მალე ნაპრალებს წაშლის,
მყინვარის თეთრი სწრაფვით
მიწა მიფრინავს ცაში.

გერგეტზე ისევ თვლემენ
ღრუბლები—სავსე თოვლით,
განათებულა მთები
ჩამავალი მზის თქორით.

თერგის მძვინვარე ტალღა
ნაპირს აწყდება ხვნეშით
და არწივივით—სადღაც
ექო იბუდებს ხევში.

ფურმა დაჰკარგა ცალი,
დადგა სიჩუმე სრული...
თოფის ლულიდან კვამლი
ამოდის, როგორც სული...

•

**შოთა რუსთაველი არა მარტო პოეტი და მოაზროვნეა, არამედ დიდი რეალისტი მხატვარიც. თავის უკვდავ პოემაში იგი გვიხატავს ნამდვილ ადამიანებს, მათს ნამდვილ ურთიერთობას, ნამდვილ ცხოვრებას. რამდენადაც მრავალფეროვანია ვეფხისტყაოსნის თემატიკა და იდეური შინაარსი, იმდენად მრავალმხრივია რუსთაველის მხატვრული ოსტატობაც.**

•



800

# ბრძოლების აღწერა

**ნოდარ ნათაძე,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

„ვეფხისტყაოსანი" სადევგმირო პოემაა, ანუ ისეთი ნაწარმოები, რომელიც ფალავნობის, დევებთან ბრძოლის, ერთის მიერ ათასთა დახოცვის ამბავს მოგვითხრობს. ამგვარი სადევგმირო თხზულებები ძალიან გავრცელებული იყო რუსთაველის დროს და დიდი მოწონებით სარგებლობდა. ეს ბუნებრივიცაა: შუა საუკუნეებში, გაუთავებელი მცირე და დიდი ომების ეპოქაში, ფიზიკური ძალა და სამხედრო საქმის ცოდნა ადამიანის უპირველესი და ყველაზე საჭირო ღირსება იყო. ნაწარმოების გმირის ძალა და გამბედაობა მკითხველს განსაკუთრებით ხიბლავდა. რაც უფრო გაზვიადებული იყო გმირის ეს თვისებები, რაც უფრო ზღაპრულ გამარჯვებას მიაწერდა მას ავტორი, მით უფრო დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მკითხველს ნაწარმოებში მოთხრობილი ამბავი. გმირთა თავგადასავალი დაუჯერებელი იყო, სინამდვილეში ხომ შეუძლებელია ერთმა კაცმა ხმლითა და შუბით ათასი კაცი დახოცოს, მაგრამ ამას მკითხველი ყურადღებას არ აქცევდა: მას სურდა დიდი გმირობის ამბავი მოესმინა და ავტორის მიერ შეთხზული, დაუჯერებელი ეპიზოდებიც მის ფანტაზიას საჭირო საკვებს აძლევდა.

ამით არის გამოწვეული შუა საუკუნეთა საგმირო თხზულებებში ზღაპრული ელემენტის სიჭარბე: გმირთა და ფალავანთა თავგადასავალი ამ დროის ლიტერატურაში ისეთსავე ფანტასტიკურ ამბებს მოიცავს, როგორც, მაგალითად, ხალხური ზღაპრები ჯადოქრობაზე, დევებზე და ქვესკნელ-ზესკნელში მგზავრობაზე. ეს ფანტასტიკა ახასიათებს შუა საუკუნეებში შექმნილ თითქმის ყველა სადევგმირო ნაწარმოებს,

მათ შორის მსოფლიო ლიტერატურის ისეთ შედევრსაც კი, როგორიცაა ირანული ეპოსი — ფირდოუსის „შაჰ-ნამე“.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა თავგადასავალშიც — კერძოდ, მათი ვაჟკაცობისა და მათ მიერ გადახდილი ბრძოლების აღწერაში ამგვარი გ ა ზ ვ ი ა დ ე ბ ა, რასაკვირველია, არის. სხვაგვარად, შუა საუკუნეებში, გმირთა თავგადასავლის თხრობა შეუძლებელია. მაგრამ შოთას პოემა იმით განსხვავდება მისი თანამედროვე ნაწარმოებებისაგან, რომ ფანტასტიკა აქ მცირეა — მას ნაწარმოებში დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს. ბრძოლების აღწერა „ვეფხისტყაოსანში“, ისევე, როგორც სხვა აქ გადმოცემული ამბების თხრობა, ძირითადად, რ ე ა ლ ი ს ტ უ რ ი ა: ის, რასაც ავტორი გვიამბობს, შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, სინამდვილეს ჰგავს. მკითხველი მხოლოდ თავის ფანტაზიას კი არ აძლევს გასაქანს ავტორის მიერ მოთხრობილი გაზვიადებული ამბის წარმოსადგენად, არამედ ამ ამბავში იგი ცხოვრების ნამდვილ სურათსაც სცნობს.

ვნახოთ, მაგალითად, როგორ აქვს რუსთაველს აღწერილი პოემის ყველაზე დიდი ბრძოლა — ტარიელისა და ხატაელების ომი. სრულიად ახალგაზრდა და ჯერ გამოუცდელი სარდალი — ტარიელი, მიდის ბებერ, ეშმაკობაში გამობრძმედილ რამაზ მეფესთან საომრად, რადგან ნესტან-დარეჯანმა ეს საგმირო საქმე მას დაავალა. წინდაწინ, სანამ სალაშქროდ დაიძვრებოდა, ტარიელმა რამაზს ზრდილობიანი, მაგრამ მტკიცე ულტიმატუმი გაუგზავნა, რაზედაც რამაზისაგან თავხედური პასუხი მიიღო. ახლა ტარიელი ინდოეთის მრავალრიცხოვანი ჯარით რამაზის ქვეყანაში მიდის.

შუა საუკუნეების ავტორთა დიდი ნაწილი, უთუოდ, ტარიელს მარტოს წაიყვანდა ხატაეთში საბრძოლველად, ან მხოლოდ ორიოდე მხლებელს გაატანდა, გზას ავსულთა და ჯადოქართა ჩარევით გაურთულებდა, რათა ტარიელის გმირობა ამით უფრო მკაფიოდ გამოჩენილიყო.

მაგრამ რუსთაველი ასე არ იქცევა: ასეთი მარტივი ლიტერატურული ხერხი მის გემოვნებას არ აკმაყოფილებს. ტარიელს არათუ ჯარი მიჰყავს რამაზის წინააღმდეგ — უფრო მეტიც: იგი თუმცა ბრძენია (ეს პოემაში ბევრჯერ არის აღნიშნული), მაგრამ თავის ცოდნა-გამოცდილებას არ ენდობა, გამოცდილ მრჩეველთა ანუ ვეზირთა აზრის თანახმად მოქმედებს. ვერაგი რამაზ მეფე, რაკი შეიტყობს, რომ ტარიელის ლაშქარი მის ქვეყანაში შემოვიდა, ტარიელს მოციქულს უგზავნის: შეგვიწყალე, ჯარს ჩემს ქვეყანას ნუ ააოხრებინებ, მცირერიცხოვანი მხლებლებით წამოდიო. ტარიელი თანხმდება ამ თხოვნას — იგი რამაზისკენ სამასი რჩეული მოყმის ანუ რაინდის თანხლებით მიდის. მაგრამ, ამავე დროს, ტარიელი, ვეზირთა რჩევით, თავის მთავარ ჯარს უბარებს, რომ ერთი დღის სავალზე უკან მიჰყვეს და საჭიროების დროს მასთან გაჩნდეს. რატომ აწყობს რუსთაველი ასე ომის მსვლელობას, ეს ადვილი გასაგებია: მას სურს, სამასი მხლებლის ამარად დარჩენილი ტარიელი განსაკუთრებულ ხიფათში ჩააგდოს, რათა მისი ძალა და ვაჟკაცობა კარგად გამოაჩინოს; მაგრამ, ამავე დროს, მას არ სურს ჭეშმარიტებას უღალატოს, არ სურს ომი დახატოს ისე, როგორც იგი მის მკითხველს სინამდვილეში არ უნახავს და არ სმენია.

რამაზისკენ მიმავალ ტარიელს ახალი მოციქულები ხვდებიან. რამაზ მეფე ტარიელს ტკბილ სიტყვებს უთვლის. მაგრამ შეხვედრის წინადღეს რამაზის ერთ-ერთი მოციქული მალულად ატყობინებს ტარიელს, რამაზ მეფე გღალატობსო; მას შეხვედრის ადგილას ასიათასიანი ჯარი ჰყავს ჩასაფრებული და მუხთლად მოკვლას გიპირებსო. როგორ იქცევა ამჯერად ტარიელი, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე ვეზირთა ბრძნული რჩევა მიიღო და რამაზს ბრმად არ ენდო? ტარიელი არ ამხელს ამ დიდმნიშვნელოვან ამბავს. იგი, მართალია, იღებს ზომებს, რათა რამაზის გეგმები ჩაშალოს (კაცს აგზავნის, თავის ჯარს იბარებს), მაგრამ რამაზთან ზარითა და ზეიმით მისვლაზე მაინც არ იღებს ხელს. რატომ? იმიტომ, რომ იგი ახალგაზრდაა, მას სისხლი უდუღს და. მტრის სიახლოვეს, ბრძოლის ჟინს აუტანია. „რაცა იქნების, იქნების, ყოვლი თათბირი სწორია“, — რაც მოხდება, მოხდება, ახლა ყველა გადაწყვეტილება ერთიაო, — ასე ფიქრობს ტარიელი. ამგვარად, ტარიელის გადაწყვეტილება უნაკლო არაა, მაგრამ ბუნებრივია: სწორედ ასე მოიქცევა ახალგაზრდა სარდალი, რომელსაც თავისი თავის იმედი აქვს და ბრძოლაში არა მხოლოდ სტრატეგიული ნიჭის, არამედ საკუთარი მკლავის გამოცდაც უნდა. ტარიელის საქციელი ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიურად მართალია. ამავე დროს, ამ ნაბიჯის გადადგმით, ბრძოლა დრამატული ხდება: მკითხველი მოუთმენლად მოელის, თუ როგორ გამოვლენ ამ რთული მდგომარეობიდან ტარიელი და მისი მხლებლები.

ტარიელმა ტკბილი სიტყვით გაისტუმრა რამაზის მოციქულები, თვითონ კი, ვითომცდა არც კი იცოდეს, რომ ღალატობენ, რამაზთან შესახვედრად მშვიდად მიდის. და აი, თვალწინ იშლება მიდამოს ფართო პანორამა, რომელზედაც ორივე ჯარის — დიდისა და პატარის — მოძრაობას ვხედავთ.

*„სერსა რასმე გარდავადეგ, მინდორს მტვერი დავინახე,*
*ვთქვი, თუ: მოვალს რამაზ მეფე, ჩემთვის უდგამს თუცა მახე,*

მხატვარი
სერგო
ქობულაძე



აწ საყვარელსა მიუწერს გულამოსკვნილი, მტირალი
მისმანვე ცრემლმან დაუვსის, ვის ედებოდა ვაი, ალი!

*ჩემი გაჰკვეთს ხორცსა მათსა ხრმალი ბასრი, შუბი ახე''*
*(ა ხ ე — ს წ ო რ ი)*
*მაშინ ვუთხარ სპათა ჩემთა, სახე დიდი დავუსახე''.*

ჯარისთვის ,,დიდი სახის დასახვა'', ანუ დიდი მაგალითის მიცემა, იმაში მდგომარეობს, რომ ტარიელი უმხელს თავის მხლებლებს მათს მდგომარეობას და გმირული ბრძოლისაკენ მოუწოდებს. ტარიელის მეომრები აბჯარს იცვამენ და სწრაფი სვლით რამაზს უახლოვდებიან.

აბჯარიანი მტრის დანახვით შეშფოთებული რამაზი ტარიელს კვლავ უგზავნის მოციქულს. ტარიელი, თავისი სამასი კაცით, უკვე თითქმის მის ხელშია, მაგრამ რამაზს აბჯრიან მტერთან ბრძოლას მაინც უაბჯროთა დახოცვა ურჩევნია. ტარიელი მხოლოდ ახლა პასუხობს დაუფარავად: შენი ღალატი ვიცი, მოდი და შემებიო.

იწყება ბრძოლა. მაგრამ რუსთაველი მას ისე არ აღწერს, როგორც ეს ზღაპრებში და შუა საუკუნეთა სადევგმირო ნაწარმოებების უმეტესობაშია მიღებული. თუ იქ ბრძოლების აღწერაში ,,სისხლის მდინარეების'' ხსენება და ამის მსგავსი სხვა გაზვიადებები ჭარბობს, რუსთაველი ხატავს ბრძოლის კონკრეტულ გეგმას, რომლის მიხედვით შეიძლება მთელი ამბის მიმდინარეობა თვალნათლივ დავინახოთ. ტარიელის შემონათვალის გაგებისთანვე რამაზი ცეცხლს ანთებინებს ჩასაფრებული ჯარის გამოსაძახებლად (იმ დროს, ე. ი. შუა საუკუნეებში, კვამლის აშვება სიგნალიზაციის ყველაზე სწრაფი საშუალება იყო). საფრიდან გამოსული ჯარი ორ კოლონად უახლოვდება ბრძოლის ადგილს. მათ ტარიელისა და მისი მხლებლების შუაში მომწყვდევა და ამოწყვეტა სურთ. მაგრამ, სანამ ორი მოწინააღმდეგე ჯარი ერთმანეთს შეხვდებოდეს და ბრძოლა გაიშლებოდეს, რუსთაველი გვიხატავს ტარიელის სულიერ განწყობილებას, რომელიც მას უფრო აინტერესებს, ვიდრე ტარიელის მიერ დახოცილი მტრების სიმრავლე. ტარიელი თავისი მხლებლებით უტევს მრავალრიცხოვან მტერს, — უტევს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მაშველი ჯარის იმედი აქვს, არამედ იმიტომაც, რომ, როგორც თვითონ ამბობს, ,,საომრად ატეხილია'', რომ იგი ბრძოლის ჟინს აუტანია.

*,,შუბი ვსთხოვე (მ ე ა ბ ჯ რ ე ს, ა ნ უ მ ხ ლ ე ბ ე ლ ს, რ ო მ ე ლ ს ა ც მ ი ს ი ი ა რ ა ღ ი მ ო ა ქ ვ ს), ხელი ჩავყავ*
*მუზარადის დასარქმელად (დ ა ს ა ხ უ რ ა ვ ა დ),*
*საომარად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად,*
*ორსა წავწვდი უტევანსა (უ ტ ე ვ ა ნ ი — ს ი გ რ ძ ი ს ს ა ზ ო მ ი ა, 125 ნ ა ბ ი ჯ ი. ტ ა რ ი ე ლ მ ა თ ა ვ ი ს მ ხ ლ ე ბ ლ ე ბ ს ო რ ი უ ტ ე ვ ა ნ ი თ გ ა უ ს წ რ ო), წავგრძელდი და წაველ გრძელად;*
*მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს (ი დ გ ნ ე ნ) და აუშლელად.*
*ახლოს მიველ, შემომხედეს, ,,შმაგიაო'', ესე თქვესა,*
*მუნ (ი ქ) მივმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი (მ ე ტ ი) ჯარი დგესა,*
*კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც, მათ ორნივე მიჰხდეს (გ ა მ ო ე თ ხ ო ვ ნ ე ნ) მზესა,*
*შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა!*

დაიწყო ხელჩართული ბრძოლა, ომის სტრატეგიული გეგმა ჩაიშალა, საქმე მხოლოდ მკლავზე მიდგა. ახლა კი რუსთაველიც ხმარობს იმ ჰიპერბოლებს ანუ გაზვიადებულ შედარებებს, რომელიც მის თანამედროვე პოეტებს უყვართ



შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი.
კაცი კაცსა შემოვსტყორცნე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი.



რა დავარ გაძლა ცემითა, მისითა დალურჯებითა,
წამოდგეს ორნი მონანი, პირითა მით ქაჯებითა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლების აღწერისას. მაგრამ, რაკიღა ბრძოლის კონკრეტული გეგმა დახატა და სიმართლის დაურღვევლად მოგვიყვანა ამ მომენტამდე, ჩვენ ახლა ის თითქმის შეუძლებელი გმირობაც გვჯერა, რომელსაც ტარიელი და მის გარშემო შემოხვეული მხლებელნი იჩენენ.

*„შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,*
*კაცი კაცსა შემოვსტყორცნე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი,*
*კაცი ჩემგან განატყორცი ბრუნავს, ვითა ტანაჯორი.**
*ერთობ სრულად ამოვწყვიტე წინა კერძო რაზმი ორი.*

*ერთობილნი მომეხვივნეს, მრგვლივ შეიქმნა ომი დიდი,*
*ვჰკრი რასაცა, ვერ დამიდგის, სისხლსა მჩქეფსა აღმოვღვრიდი,*
*ცხენსა კაცი გაკვეთილი მანდიკურად (ხ უ რ ჯ ი ნ ი ვ ი თ) გარდავჰკიდი,*
*სითაც ვიყვი, გამექციან, მათ შექმნიან ჩემი რიდი“.*

ხელჩართულ ბრძოლას მეტი აღწერა აღარ უნდა და რუსთაველიც აღარაფერს გვეუბნება მანამდე, სანამ საღამოთი ქედზე ტარიელის მთავარი ჯარი არ გამოჩნდება. გუშაგის ძახილზე, რომელიც ინდოთა ლაშქრის გამოჩენას ატყობინებს, ხატაელთა ჯარი პანიკას ეძლევა. ეს ბუნებრივიცაა. მაგრამ აქვე, ამავე ტაეპში, ბრძოლის მეორე დეტალსაც ვტყობილობთ, რომელიც გვიჩვენებს, რომ ომის კანონებს თვით ლომთა-ლომი ტარიელისთვისაც კი თავიანთი ძალა არ ეკარგებათ. თურმე, ტარიელი და მისი მხლებლები, რომლებიც რამაზის ჯარს შეებრძოლნენ, აქამდის უკან იხევდნენ — სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ასიათასიან ჯარს სამასი კაცი ვერ გაუმკლავდებოდა. ახლა, მაშველი ჯარის გამოჩენით გამხნევებულნი, ისინი „შეკივლებით“ ისევ ეკვეთებიან შეშინებულ მტერს და, იმ მინდორს, სადაც უკან-უკან იხევდნენ, ისევ ბრძოლით წაღმა გაივლიან.

*„ველნი, ჩვენგან ნაომარნი, ომითავე გარდავვლენით“.*

აქვე ვხედავთ მეორე დეტალსაც, რომელიც მხოლოდ ნამდვილ რეალისტს, ომების კარგად მცოდნე, საკუთარი თვალით მნახველ მწერალს შეიძლებოდა მოეცა: ტარიელის ჯარისკაცები გაქცეულ მტერს მისდევენ და დ ა ვ ლ ა ს ე ძ ე ბ ე ნ. ეს არის მათი ჯილდო, რომელიც უნაგირზე გატარებული ღამისა და ბრძოლის საფასურად ხვდათ.

*უკანანიცა ლაშქარნი მოესწრეს (დ ა ე წ ი ვ ნ ე ნ) მათ გაქცეულთა,*
*დაუწყეს პყრობა, ჩამოყრა (ც ხ ე ნ ი დ ა ნ) შეშინებულთა. ძლეულთა,*
*ძალისა მიხვდა (ე რ გ ო თ, შ ე ხ ვ დ ა თ) ნაცვალი ძილმკრთალთა, ღამეთეულთა.*

ჯარის „გალაღება“, ანუ მისთვის დავლის შოვნის საშუალების მიცემა ხომ ფეოდალური ომების ერთი განუყრელი ნაწილია! რუსთაველი ამ წესს კარგად იცნობს და პირუთვნელად ხატავს მას.

ომების უმრავლესობა „ვეფხისტყაოსანში“ ასე რეალისტურადაა აღწერილი. მაგალითად, ფრიდონის ბრძოლა თავის ბიძაშვილებთან, ფრიდონისა და ტარიელის ბრძოლა იმავე ბიძაშვილებთან, ავთანდილის ბრძოლა მეკობრეებთან. თვით ქაჯეთის ციხის აღებაც კი — ყველაზე ზღაპრული ეპიზოდი პოემაში — თავისი დროის სამხედრო ხელოვნებისა და ტაქტიკის სრული ცოდნით არის აღწერილი.

---

* ტანაჯორი, — „დედა“ — „გრძელი ვირის“, „მრგვალი ვირის“ და სხვა ამგვარ თამაშებში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)






ფრ. ბეკონი: ცოდნისაკენ უნდა ვისწრაფოდეთ არა პაექრობისათვის, არა სხვების ათვალისწუნებისათვის, არა სარფისათვის, დიდებისათვის, ძალაუფლებისათვის ან სხვა რაიმე ქვენა მიზნებისათვის, არამედ იმისათვის, რომ ცხოვრებაში სასარგებლონი ვიყოთ.

ვ. გოეთე: არ კმარა ცოდნა, საჭიროა აგრეთვე მისი გამოყენებაც; არ კმარა სურვილი, საჭიროა აგრეთვე კეთებაც.

მ. გორკი: ძველმა ებრაელმა ბრძენმა ჰილელმა მოგვცა ადამიანის ინდივიდუალური და სოციალური ყოფაქცევის საოცრად მარტივი და ნათელი ფორმულა: „თუ მე არ ვარსებობ ჩემთვის,—მაშინ ვიღა არსებობს ჩემთვის? მაგრამ, თუ მე მხოლოდ ჩემთვის ვარსებობ,—მაშინ რაღად ვარსებობ?“

ნ. ზელინსკი: სწავლაში, შრომაში, მეცნიერებაში, ხალხისადმი თავდადებულ სამსახურში შენ ჰპოვებ შენს ბედნიერებას.

ფრ. ლაროშფუკო: ადამიანი უნდა შეფასდეს არა მისი ნიჭის, არამედ ამ ნიჭის მოხმარების უნარის მიხედვით.

პ. მეტასტაზიო: ვინც მხოლოდ თავის თავისთვის ცხოვრობს, ის ამ ქვეყნად ცხოვრების ღირსი არც არის.

პლინიუს უმცროსი: ჩვენ მოცემული გვაქვს ხანმოკლე სიცოცხლე. დავტოვოთ მაინც რაიმე, როგორც საბუთი იმისა, რომ გვიცხოვრია.

სენეკა: მე რომ სიბრძნე იმ პირობით შემომაძლიონ—ჩემთვის ჩავიკეტო და იქიდან არაფერი არ გავუზიარო სხვებს, მე ხელს ვკრავდი ასეთ სიბრძნეს.

ჯ. რიოსკინი: თქვენს ყოველგვარ ნიჭსა და ცოდნას უცქირეთ, როგორც სხვებისთვის დასახმარებელ საშუალებას.

ვისხედით და, როგორც ძველ ნაცნობებს შეეფერება, ვსაუბრობდით იმაზე, რაც ყველაზე უფრო ლამაზი და დასახსომებელი შეგვემთხვა მას შემდეგ, რაც ერთმანეთი აღარ გვინახავს.

— მანამდე ჯიხვზე არასოდეს მინადირია. ფასანაურში ვისვენებდით. ერთ საღამოს ჩვენს ეზოს „ვილისი" მოადგა. სანამ ჭიშკართან მივირბენდი და გავიგებდი, ვინ გვესტუმრა, მანქანის საყვირმა „თურქული მარში" შეასრულა. მივხვდი: ძია სპარტაკი იყო. სპარტაკ ჯეჯელავას ხომ იცნობთ, სახელგანთქმულ ფეხბურთელს. ჰოდა, ძია სპარტაკი ადრევე დაჰპირდა მამაჩემს: ამ ზაფხულს ბიჭებს ჯიხვზე სანადიროდ წავიყვანო. ახლა დანაპირების შესასრულებლად გამოიარა. მე და დათომ „გეკოები" გავმართეთ, უფროსებმა კიდევ ერთხელ შეამოწმეს თავიანთი თოფები და უთენია წავედით...

— ხდეს ხეობაში ყოფილხართ? — მკითხა უცებ ლექსომ.

ვუთხარი, რომ არა მარტო ვყოფილვარ, მშვენივრად ვიცნობ იქაურობას. იქიდან ავედით ერთხელ მწვერვალ გორის დასაპყრობად, ხოლო დაბრუნებისას იქვე, მარწყ-

# მნათობიც რომ იყოს...

ვის ჭალაში, გავმართეთ კარვები და გავათენეთ ღამე.

ლექსოს გაუხარდა.

— ჩვენი კარავიც იქ იდგა. ნანადირევი რომ ჩამოვიტანეთ, იქვე დავანთეთ კოცონი და შევწვით მწვადი.

ლექსოს შავი, მკვირცხლი თვალები უციმციმებს და იხსენებს:

— ისეთი ლამაზი ღამე არ მინახავს. ვარსკვლავები, თითქოს ქარის ქროლვას აჰყოლიანო, ოდნავ ირხეოდნენ. დიდრონი ვარსკვლავები! მეგონებოდა, აი, იმ მთაზე რომ ავიდე და ცოტაზე ავხტე, ხელით შევეხები ვარსკვლავებსო.

დილით კი ხდეს ხეობას ავუყევით სათავემდე და ცივზე ცივ მთის მდინარეში კალმახები დავიჭირეთ. ჩემს ბადეს არ ამოჰყვა, ძია სპარტაკის დათომ კი მთლად წითლად დაწინწკლული სამი კალმახი დაიჭირა.

ლექსო ხელით მანიშნებს, რამოდენა იყო დათოს დაჭერილი კალმახები; მე მაოცებს ეს ძლიერი ხელები, — ძლიერი... გრძელი, ლამაზი, ნავარჯიშევი თითები. ისინი არ ჰგვანან 14 წლის ბიჭუნას ხელებს. ასეთი ხელები ერთგვარად ავალდებულებენ კიდეც მათ პატრონს — იმუშაოს შეუპოვრად, ენერგიულად, მთელი თავისი შესაძლებლობით.

ლექსო ამ სამიოდე წლის წინ გავიცანი. მაშინ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს კონცერტი უნდა გაემართათ მოსკოვში კრემლის თეატრში.

მოახლოვდა გამგზავრების დღე. მუსიკალურ სკოლაში ერთგვარი დაძაბულობა, მღელვარება იგრძნობოდა. უკანასკნელად ზუსტდებოდა წამსვლელთა სიები. კიდევ კამათობდნენ იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც უნდა შესრულებულიყო კრემლის თეატრში. ღელავდნენ მშობლები, მოსწავლეები.

და აი, როცა ბოლო, გენერალური რეპეტიცია დაინიშნა, მე სარედაქციო დავალებით მივედი ამ რეპეტიციაზე.

ლექსო თორაძე მაშინ 11 წლის ბუთხუზა ბიჭი გახლდათ.

სხვებისაგან განსხვავებით, მას ნერვიულობა არ ეტყობოდა. დინჯად მივიდა როიალთან და, თავის თავში დარწმუნებულმა, აიღო პირველი აკორდი.

ნაწარმოები, ბახ-კაბალევსკის „პრელუდია და ფუგა", სირთულით აღემატებოდა მისი ასაკის შესაძლებლობას, მაგრამ ნორჩი პიანისტის დაკვრაში სრულიად არ იგრძნობოდა ეს, იმდენად დახვეწილი იყო მისი ტექნიკა.

შემდეგ, როგორც გაზეთებიდან შევიტყვეთ, კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა ლექსო თორაძის კონცერტს.

ამას წინ უძღოდა ანდრია ბალანჩივაძის 3-ნაწილედიანი კონცერტის შესრულება, ამიერკავკასიის საჩვენებელ ორკესტრთან ერთად.

ამ კონცერტს ბრწყინვალედ უკრავდა კომპოზიტორის ვაჟი — ჯარჯი ბალანჩივაძე; ლექსოსა და მისი



კონცერტი დამთავრდა. ეს ყვავილები, ლექსოსა და მამამისის აზრით, უპირველესად ლექსოს მასწავლებელს ეკუთვნის.

მასწავლებლის, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის როზა მიხეილის ასული როჟოკის მხრივ, ერთგვარი გაბედულებაც იყო ამ კონცერტზე მუშაობის დაწყება. მაგრამ შეუპოვარმა შრომამ და ლექსოს თანდაყოლილმა მუსიკალურმა ნიჭმა თავისი გაიტანა.

კონცერტის დასასრულს, გულწრფელად გახარებულმა ავტორმა მიულოცა ლექსოს მამას — კომპოზიტორ დავით თორაძეს: ჯარჯიზე უკეთ თუ არა, არაფრით მასზე ნაკლებ არ შეუსრულებიაო.

ლექსო ფართო მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ გაიცნო და წარმატებას წარმატება მოსდევდა.

მაგრამ, სანამ მის შემდგომ წარმატებებზე გეტყოდეთ, უნდა გაგიმხილოთ ამ წარმატებათა ყველაზე დიდი საიდუმლო.

რა თქმა უნდა, არ ყოფილა შემთხვევა, თანდაყოლილი მუსიკალური მონაცემების გარეშე, ამ სფეროში კაცს რაიმე სერიოზული წარმატებისათვის მიეღწიოს. ისიც ცხადია, რომ ლექსოს გარემოცვა (მუსიკის სისტემატური მოსმენა, მუსიკაზე საუბარი და კამათი, მამისა და მისი მეგობრების სპექტაკლებსა და კონცერტებზე სიარული, საგანგებოდ შერჩეული ფირფიტები) ხელს უწყობდა მასში მუსიკოსის მომწიფებას. მაგრამ ეს ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდა, რომ ნორჩ პიანისტს არ ჰქონოდა ყველაზე სასურველი თვისება — შრომისმოყვარეობა.

და მის ასაკში, დამეთანხმებით, ეს უფრო დასაფასებელია, ვიდრე თანდაყოლილი ნიჭი.

ტყუილად არ უთქვამს ერთ ბრძენს: ტალანტი — ეს გახლავთ ცოტა თანდაყოლილი ნიჭი და ბევრი ოფლისღვრაო.

იცით, რამდენ დროს ატარებს ლექსო როიალთან?

6-7 საათს დღეში და, ზოგჯერ უფრო მეტსაც კი!

6 - 7 საათი შრომა, — აი, მისი წარმატების საიდუმლო. არც დანარჩენ დროს ივიწყებს იგი მუსიკას: უსმენს საყვარელ ფირფიტებს, ესწრება მისი მეგობრების კონცერტებს, ყურადღებით უსმენს მამის ახალ ნაწარმოებს ან მუსიკალურ გადაცემას რადიოთი. სხვა დროს კი — ცურავს, გაკვეთილებს ამზადებს, ხატავს, ინგლისურს სწავლობს, სეირნობს უმცროს დაიკოსთან — ნინოსთან ერთად.

— ცურვა ძალიან მიყვარს, კვირაში ოთხჯერ — აუზში ვარ. ჰოკეი სპორტის ყველა სახეს მირჩევნია, მაგრამ ყოველთვის ვერ ვუყურებ,— საღამოს საათებში ხომ ვმეცადინეობ. ვლაპარაკობ ინგლისურად, ვთარგმნი პატარ-პატარა იუმორისტულ მოთხრობებს.

ლექსოს ერთი სასაცილო მოთხრობა უთარგმნია, მის შინაარსს ჰყვება და გულიანად იცინის, თვალები ეშმაკურად უციმციმებს...

ვათვალიერებ მის ნახატებს, რომლებიც შესრულებულია ფანქრით, სალებავებით... თითქმის ყველა ნახატზეა მაღალი ცა, წითელვარსკვლავიანი თვითმფრინავი, წითელალმიანი, აკვამლებული გემი.

— ამათ პატარაობისას ვხატავდი, — დაირცხვინა ლექსომ. — ხატვის ნიჭი არა მაქვს.

როგორც კი როიალთან ჯდება, ან მუსიკაზე ლაპარაკს დაიწყებს, ლექსო თავის ასაკზე ბევრად უფრო სერიოზული ხდება.

— მაინც, ვინ არის შენი საყვა-

---

ერაკლიო
სეპედა,
ესპანელი მწერალი

# ნუ მიცვიკო, სიკვდილო!

ბინდდებოდა. ჩიტებმა მხიარული ჟივილ-ხივილი შეწყვიტეს და ბუჩქებში მიიყუჟნენ. საღამოს ექვსი საათი თუ იქნებოდა.

აი, უკვე ორი დღეღამეა, თვალზე რული არ მომკარებია, სულ ველოდი, რომ აგერ-აგერ შეიცვლიდა ქარი მიმართულებას და თან წაიღებდა სულს მამაჩემისას, რომელიც, უკვე ორი კვირაა, სიკვდილს ებრძვის.

კაცმა რომ თქვას, არავინ იცის რა სჭირს. ექიმი მხოლოდ თავს აქნევს, სწორედ ისე, როგორც არწივი კურდღლის ძებნისას. ექიმი მარტო ამით კმაყოფილდება და არასოდეს ამბობს, რა სატკივარია, მამაჩემს სხეულში რომ ჩაუჯდა და საშველს აღარ აძლევს. ათასგვარ სისულელეს ამბობს, ხან რას მოიგონებს, ხან რას.

მამაჩემი მაგარი კაცი იყო, და ავადმყოფობას თავს არ უდებდა; თავდაპირველად სულ ცდილობდა ამდგარიყო და საოჯახო საქმეებისთვის მოეკიდა ხელი. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ძალა აღარ შესწევდა, ლოგინიდან წამოდგომის თავიც კი აღარ ჰქონდა.

ყოველთვის, როცა მის სახეს ხელს შევახებდი, თითები ამიკანკალდებოდნენ. მეგონა, გავარვარებულ ქვას შევეხემეთქი. ის სულ ცდილობდა არ შეემჩნია, რომ ცუდად იყო; პირიქით, სულ მეხუმრებოდა. მეც ხუმრობითვე ვპასუხობდი, მაგრამ ვგრძნობდი — შიგნით როგორ წყდებოდა რაღაც, და მზად ვიყავი ავღრიალებულიყავ. ოღონდ მამაჩემის რისხვისა მეშინოდა და ამიტომ, მხოლოდ ამიტომ არ იყვნენ ჩემი თვალები ცრემლებისაგან სველი. მაგრამ, როგორც კი მოვცილდებოდი მის სარეცელს, თავს ვერ ვიკავებდი და გული ამომიჯდებოდა ხოლმე.

ამ უბედურების პირველივე დღიდან მივხვდი, რომ მოხუცის საქმე ცუდად იყო, ახლა იგი სიმინდის გამხმარ ღეროს ჰგავდა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ მოკვდებოდა. ისღა დამრჩენოდა, წავსულიყავი და მისი საფლავისათვის ადგილი შემერჩია

საშინელ მარტოობასა და შიშს განვიცდიდი.

როცა მოხუცი მიამბობდა ათასგვარ ამბავს, რაც ცხოვრებაში გადახდენოდა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს

რელი კომპოზიტორი? — ვეკითხები.

— თანამედროვეებს შორის? — აზუსტებს ბიჭი, — სტრავინსკი, რა თქმა უნდა, სტრავინსკი.

— უკრავ?

— ოჰ, არა, რთულია. მაგრამ, დღეში ორჯერ მაინც ვისმენ მის ფირფიტებს. ჰო, მართლა: ბარტოკიც!

არც ისე დიდი ხანია, რაც ქართული მუსიკის სიდიადემ ერთხელ კიდევ აალაპარაკა მსოფლიოს მუსიკალური საზოგადოებრიობა. ეს გახლდათ ამიერკავკასიის მუსიკალურ გაზაფხულზე, გასულ წელს.

მაშინ ლექსომ ავტორისაგან მიიღო უფლება — ყოფილიყო ნოდარ მამისაშვილის საფორტეპიანო კონცერტის პირველი შემსრულებელი. ამ კონცერტმა უცხოელი და საბჭოთა მუსიკოსების მაღალი შეფასება დაიმსახურა, ხოლო ლექსო მიიწვიეს საკავშირო კომპოზიტორთა კავშირის V პლენუმზე.

ნორჩი პიანისტის ნიჭით მოხიბლულმა ტიხონ ხრენიკოვმა — სსრკ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, ლექსოს გულთბილი ბარათი გამოუგზავნა: „...ყველა საბჭოთა კომპოზიტორი გისურვებს წარმატებებს შენი იშვიათი ნიჭის გაფურჩქვნაში“.

ამას მოჰყვა ბულგარეთში ქართული მუსიკის კვირეულის ჩატარება: ჩვენი ლექსო გამოვიდა სოფიაში, პლოვდივში. აქაც გამარჯვება!

ლექსო სავსეა შთაბეჭდილებებით.

— ყველაზე მეტად მომეწონა სოფიის პიონერთა სასახლის გუნდი, „ბოდრა სმენა“ და სიმფონიური ორკესტრი, რომელშიც 9-17 წლის 130 ბიჭი და გოგონაა გაერთიანებული. მე დავესწარი მათ რეპეტიციას და ძალიან, ძალიან მომეწონა. იცით, სოფიის პიონერთა სასახლეს ნამდვილი თვითმფრინავი აქვს!..

ცნობილმა ფრანგმა პიანისტმა პომიემ ლექსოს კონცერტის დასასრულს მხოლოდ ორად-ორი სიტყვა თქვა: „ამ ამავალი ვარსკვლავი“.

ლექსომ კარგად იცის, რამდენი შრომა, რამდენი ოფლისღვრა დასჭირდება, რომ იქცეს დიდ, ჩახჩახა მნათობად ქართული ხელოვნების ცის ტატნობზე.

ნარგიზა მგელაძე.

---



ყველაფერი ეს მე და მას ერთად გადაგვეტანოს

ასე გადიოდა ღამეები. ყოველმხრიდან მოძალებული მოგონება და საზრუნავი ძილს მიკარგავდა, ერთი წუთითაც კი არ მაძლევდა თვალის მოტყუების საშუალებას. ვიცოდი რომ ეს იყო ჩვენი ერთად ყოფნის უკანასკნელი წუთები.

ზოგი მოგონება სამწუხაროც იყო და სასიხარულოც. ისინი ღრმად მრჩებოდნენ გულში; მაგრამ იყო ისეთებიც, რომლებიც ჩემში მრისხანებას იწვევდა მხოლოდ. შემდეგ უცებ რაიმე სასიხარულო ამოტივტივდებოდა, და მე ვიწყებდი ხარხარს. ყველაზე მეტად მაწუხებდა ის, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ ვისწავლე მამის სიახლოვის დაფასება.

ათასში ერთხელ თუ მივუახლოვდებოდი მას და ისიც ისე, თითქოს უბრალო ნაცნობი ყოფილიყო.

მართალი რომ თქვას კაცმა, მე და მამაჩემი მეზობლებივით ვცხოვრობდით, არასოდეს არ გვისაუბრია გულახდილად. და ყველაფერი ამის მიზეზი მე ვიყავი.

ჯერ ერთი, იმ დროს, როცა ჩვენ შეგვეძლო ერთად ვყოფილიყავით, მე მთაში სანადიროდ მივდიოდი. ეგეც რომ არა, ჩემთვის აუცილებელი იყო თვალს მოვფარებოდი, რომ მისგან მალულად სიგარეტი მომეწია. უფრო მოგვიანებით კი, მასთან საუბარს მეგობრებთან ღვინის სმა მერჩია.

მე არასოდეს მომისმენია მისთვის, მას კი ბევრი რამ ენახა, ბევრი რამ იცოდა, და ყველაფერ ამას ჩემთვის ინახავდა.

მხოლოდ ხანდახან, ყანაში, სადაც, ძალაუნებურად, მის გვერდით უნდა ვმდგარიყავი, იგი მესაუბრებოდა ხოლმე და მე იმ დროს უდიდეს სიამოვნებას განვიცდიდი.

შემდეგ ამხანაგებში ვტრაბახობდი ყველაფერი იმით, რაც მამისაგან ვისწავლე და, ჩემ თავს პირობას ვაძლევდი, არასოდეს მოვცილებოდი მოხუცს. მაგრამ სულ მალე ისევ დროსტარების საძიებლად გავრბოდი. და ახლა, როცა მოხუცი მამა კვდებოდა, ჩემი თავისთვის ვერ მეპატიებინა, რომ არ ვუსმენდი მის სიტყვებს, რომლებიც ასე მჭირდებოდა ახლა.

მივხვდი, რომ ბევრი ვერაფერი ვისწავლე მოხუცისაგან, რომ საკუთარ მამას მხოლოდ ზერელედ ვიცნობდი და არაფერი გამეგებოდა მისი კაცობისა. ადამიანი თურმე მანამ ვერ გაიგებს, რა ძვირფასია მისთვის მიწა, ვიდრე არ დაკარგავს მას.

მახსოვს, დედა რომ გარდამეცვალა, მოხუცი თითქოს სასიკვდილოდ დაიჭრა. ორიოდე სიტყვას თუ ამოღერღავდა და ისიც იმიტომ, რომ არ ეთქვათ — ქალაჩუნა ყოფილაო. მაგრამ მარტო დარჩენილი, გულგამოჭმულ, ფუტურო ხეს

# ადამიანში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს...

ნელი ზოდელავა

მხატვარი ე. ამბოკაძე.

დასავლეთის ახალგაზრდობა, ძირითადად, უშინაარსო ცხოვრებას ეწევა. მათ წინაშე არ დგას ლამაზი მომავლის პერსპექტივები და თავიანთ გულგატეხილობასა და პესიმიზმს ღვინოში, უაზრო დროსტარებაში, კონვულსიურ ცეკვებსა და უფორმო, კაკაფონიურ მუსიკაში ახშობენ. ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე კი სულ უფრო მზარდი ამოცანებია, ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ, თუ როგორ უმჯობესდება და ლამაზდება ჩვენი ცხოვრება. რატომ უნდა მივბაძოთ გულგატეხილ ახალგაზრდობას. განა რემარკი, ალტაცებულია თავისი გმირების ცხოვრებით? იგი გვიჩვენებს, როგორ ილუპება ახალგაზრდობა, რომელსაც სხვა პირობებში ბევრი რამის გაკეთება შეეძლო. ჩვენი ახალგაზრდების ნაწილმა რემარკის რომანებში დაინახა მხოლოდ კონიაკი, კალვადოსი, მშრალი მარტინი! როდესაც ერთ გოგონას, რომელსაც კონიაკით ნახევრად შევსებული ჭიქა ეპყრა ხელთ, საიდუმლოდ ვკითხე, — მოგწონს კონიაკი-მეთქი? — არაო, — მიპასუხა. — აბა რატომ სვამ-მეთქი? —



* დასასრული. დასაწყისი იხ. „პიონერი" № 6.

ემსგავსებოდა, გული ჭიანჭველებმა რომ გამოუჭამეს.

მაშინ მე ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მაგრამ თავს დატეხილი უბედურება ისეთი ძლიერი იყო, რომ არც მე შემეძლო ხმის ამოღება, და ვინ იცის, რატომ, მაგრამ სწორედ მამაჩემის მწუხარება მიკლავდა გულს. და მე შევფიცე, არასოდეს დამეტოვებინა მოხუცი მარტოდ.

კვირის თავზე ფიცი უკვე დავიწყებული მქონდა და, სხვა ბავშვებთან ერთად, ჩიტის ბუდეების საძებნელად დავრბოდი. მოხუცი კი მარტო რჩებოდა თავის მარტოობასთან. და ახლა, როცა იგი კვდებოდა, სინდისი მქეჯნიდა და თავს ვიწყევლიდი. მაგრამ აზრი ჰქონდა კი ახლა ამ სინანულს?

ასე გადიოდა დრო. ავადმყოფობა სულ უფრო და უფრო ერეოდა. ის, რაც ახლა, საბანქვეშ ირხეოდა, უკვე მისი აჩრდილიც კი აღარ იყო. დამწყევლოს ღმერთმა, თუ ვცოდავდი, მაგრამ ახლა უკვე მის სიკვდილს ვნატრობდი, რადგან ვხედავდი, როგორ უზომოდ იტანჯებოდა.

ერთხელ უსიცხოდ გაეღვიძა. გამიხარდა, ვიფიქრე, იქნებ გადარჩეს-მეთქი. მაგრამ მოვიდა ექიმი და თქვა, რომ ესაა სწორედ ყველაფერზე საშინელი. როცა ტემპერატურა ეცემა, ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლე უკვე თავდებაო. სინამდვილეში ასეც მოხდა.

იმ დღეს, დილიდან მოყოლებული, საშინელი ღვართქაფი მოვარდა.

მთელი დღე გადაუღებლად წვიმდა. სწორედ ასეთ წვიმიან დღეს გარდაიცვალა დედაჩემი. ის სიცოცხლეში ამბობდა, რომ დედამისიც ქარიშხლიან დღეს გარდაცვლილა. ეს ისეთი ნიშანია, რომ არ მოგატყუებს.

როგორც ვთქვი, საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, ექიმი მოხუცისაგან რომ გამოვიდა.

— არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა, —თქვა ექიმმა, — მაგრამ, როცა მან მკითხა, არის თუ არა გადარჩენის სულ ცოტა იმედი მაინცო, მე არ დავუმალე და სიმართლე ვუთხარი.

აღშფოთებულმა ვიყვირე, წამოვვარდი და ერთი ნახტომით გავჩნდი მასთან, მინდოდა ადგილზევე გამეფრთხობინებინა მისთვის სული. მაგრამ უცებ აზრმა გამიელვა: ექიმს მართლაც რომ კარგად მოუფიქრებია. მამაჩემი ნამდვილი ვაჟკაცი იყო და სიმართლისთვის პირდაპირ თვალებში უყვარდა ცქერა. გამახსენდა, ერთხელ რომ მითხრა: გლეხისთვის ყველაზე კარგია, როცა მან იცის მოახლოებული სიკვდილის შესახებ. სიკვდილი გარდუვალია და გლეხისათვის ეს თითქმის ყოველთვის ყველაზე უკეთესი გამოსავალია მისი გაჭირვებისაგან თავის დასაღწევად.

გამახსენდა ეს და თანდათან დავმშვიდდი. ექიმს თავის ქნევით ვაგრძნობინე, მართალი ხარ-მეთქი. შემდეგ კედლისაკენ შევბრუნდი და ვიდექი ასე, ვიდრე მისი ცხენის ფლოქვების თქარათქური არ გავიგონე. მწარედ ამოვიხვნეშე და მოხუცის ოთახში შევედი.

არ ვიცოდი რაზე და როგორ მელაპარაკა, რომ მისთვის სიკვდილზე ფიქრი გამექარვებინა, რომ ეგრძნო: მისგვერდითაა მისი შვილი, რომელიც განსაცდელის ჟამს მას ხელს გაუწვდის.

— ნეტა კი განახათ, მამა, რა გულიანად წვიმს, — დავიწყე მე, —ახლა საშუალება გვექნება, ერთი მაგრად წავიმუშაოთ.

— შენ უნდა გამოიყენო ეს შესაძლებლობა, —მომიგო მამამ. — ცხადია, ხარჯი დიდი გექნება, ახლავე უნდა იფიქრო ვალებზე, რომლის გადახდაც მოგიწევს.

მე შევბრუნდი და ფანჯარაში დავიწყე ყურება, ვითომ ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა.

ფანჯრის წინ მოხუცის ცხენმა ჩაიარა. სიჩუმე რომ დამერღვია, ვთქვი:

— რომ იცოდეთ, როგორ მოიკეთა

ახლა ეს მოდაშიაო, — მიპასუხა. ვინ თქვა, რომ მოდაშია? საიდან მოიტანეთ! და, რაც მთავარია, ვინ გითხრათ, რომ ოდესმე შეიძლება მოდაში იყოს საკუთარი „მეს“ უგულვებელყოფა, საკუთარი რწმენის გათელვა, საკუთარ გემოვნებაზე უარის თქმა! ამ შემთხვევამ ჩემი ვაჟის „გმირული“ საქციელი მომაგონა... 8 წლისამ სადარბაზოში მალულად მოსწია პაპიროსი. როდესაც ვკითხე, — რატომ მოსწიე, მოგეწონა-მეთქი? მიპასუხა: — არა, მაგრამ ბიჭებმა მითხრეს — თუ არ მოსწევ ლაჩარს დაგიძახებთო.

ჩემი ბიჭი მაშინ 8 წლისა იყო, ის გოგონა კი, კონიაკს რომ წრუპავდა, უკვე 15-სა!

— ადამიანში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს, — გვიანდერძა შესანიშნავმა რუსმა მწერალმა ა. პ. ჩეხოვმა, — გარეგნობაც, ტანსაცმელიც, ზნეობაც, მანერებიც, შრომაც...

ადამიანის ფიზიკური სილამაზე სხეულის პროპორციულ და ჰარმონიულ განვითარებაშია. მაგრამ ადამიანის სილამაზე მის ფიზიკურ აღნაგობაზე არც ისე დიდადაა დამოკიდებული, როგორც ეს ზოგჯერ წარმოუდგენიათ. განა მშვენიერება მხოლოდ თვალების ფერში გამოიხატება! განა შეიძლება სიამოვნება მოგვანიჭოს დიდრონმა, ლაჟვარდისფერმა, დაბურულწამწამებიანმა თვალებმა, თუკი ისინი არასოდეს არაფერს არ გამოხატავენ? და რამდენად ლამაზია თუნდაც უფერული და ვიწრო თვალები, რომლებიც ყოველთვის აზრითა და გრძნობით არიან სავსე!

ადამიანის მშვენიერების სრულყოფისათვის საჭიროა შესაფერისი ჩაცმა-დახურვა. ტანსაცმელი ადამიანის სულიერი სიმდიდრის, მისი კულტურის გამოვლენაა, იგი გვიჩვენებს თუ რამდენად სწორად ესმის ადამიანს პიროვნებისა და გარემოს ურთიერთობა. რაც არ უნდა ლამაზი იყოს ტანსაცმელი, მას ღირებულება არა აქვს, თუ იგი ადამიანს არ აცვია. ამიტომ, აუცილებელია ტანსაცმელსა და ადამიანს შორის იყოს ჰარმონია. ტანსაცმლის შერჩევაში ლამაზი ფერი და თარგი

---

თქვენმა ცხენმა ამ დღეებში. როგორ გაიხარებს, როცა ისევ შეკაზმავთ. კარგ ხელს მიჩვეული ცხენი მარტო ამ ხელს ემორჩილება.

მოხუცმა გაიღიმა, მერე უცებ მოიღუშა და თქვა:

— მიჰყიდე ეგ ცხენი ვინმე კარგ მხედარს, და რაც შეიძლება, ჩქარა წაიყვანონ, რომ ცხენს მწუხარებისაგან გული არ გაუსკდეს, როცა ვეღარ მნახავს.

— რატომ ლაპარაკობთ ასე?

— მე მგონი, ეს არ იქნება შენთვის დიდი მოულოდნელობა; მე მალე მოვკვდები, ასე თქვა ექიმმა.

— ნუ ფიქრობთ ასე, მამა.

მოხუცმა ხელით მანიშნა, გაჩუმდიო.

— ახლა შენ იქნები ოჯახის უფროსი, — განაგრძობდა ის. — ეცადე, იყო ნამდვილი ვაჟკაცი, ისეთი, რომელიც მზადაა ყოველგვარი სიძნელისა და მოულოდნელობის შესახვედრად. ნურასოდეს ნუ დაიხევ უკან, თუ დარწმუნებული ხარ შენს სიმართლეში; მაგრამ იმის ვაჟკაცობაც გეყოს, რომ აღიარო, როცა სცდები.

ვიგრძენი, როგორ მომაწვა ყელში ცრემლები, მაგრამ მოხუცი მავალებდა, ვაჟკაცურად მჭეროდა თავი.

— ექიმმა თქვა, რომ შეიძლება დილამდეც ვერ გავატანო, შენ იცი ამის შესახებ?

თავის დაქნევით ვანიშნე, რომ ვიცი. მოხუცი სახეში მომაჩერდა იმის მოლოდინში, რას ვიტყოდი.

— გასულ კვირას უკვე ვიცოდი, რომ მოკვდებოდით და, ყველაფერი რაც აუცილებელი იყო, გავაკეთე.

მოხუცის თვალებში სიხარულმა იელვა. მიხვდა: მისი შვილი კაცური კაცია.

შემდეგ ხელი შუბლზე დამადო. ვიგრძენი, რომ ხელი სრულიად ცივი იყო, თითქოს სიკვდილი უკვე თავს დასტრიალებდა.

— შემომფიცე, რომ ყველაფერი რიგზე იქნება.

ჩემი თავი ახლოს მიიზიდა, მომეფერა, კარგა ხანს მეალერსებოდა, მერე თქვა:

— დასაფლავების დროს არ იყოს წივილ-კივილი. ფული თუ არ გეყოს, ჩემს ნათლიმამა ხოსეს ესესხე, ის მოგცემს. ხოსე, რასაკვირველია, ვალდებული არაა, მაგრამ მე და ის ყოველთვის კარგი მეგობრები ვიყავით. ერთი კვირის წინ მითხრა, მთელ ხარჯებს მე ვიკისრებო.

მამამ გაიღიმა და თავი შეაბრუნა.

— ნამდვილი მეგობარი არ მოგატყუებს და ზურგს არ შეგაქცევს გაჭირვების ჟამს.

შემდეგ, თითქოს რაღაც ფიქრებს იგერიებსო, დაუმატა:

— ჰო... საფლავისათვის კარგი ადგილი შეარჩიე.

მთელი ძალა მოვიკრიბე, თავიც კი არ გამიქნევია, ისე პირდაპირ თვალებში შევყურებდი მოხუცს და ამით ვაგრძნობინე, ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი.

— დალახვროს ეშმაკმა, მამაჩემო! როგორ შეგიძლიათ იყოთ ასე გულგრილი ასეთ რამეზე საუბრის დროს? თქვენ ხმაც კი არ გიკანკალებთ.

მამამ კვლავ გაიღიმა.

— მოხუც ადამიანს უკვე აღარაფრისა არ ეშინია. ის მშვიდია, რადგან ყველა განსაცდელი და სატანჯველი გავლილი აქვს. მე კმაყოფილი ვარ ყველაფრით, რაც ვნახე, გავაკეთე და დავთესე. აი, როცა შენი სიკვდილის ჟამი დაჰკრავს, ნახავ — შენც როგორ მშვიდად იქნები.

— ვინ იცის. მე მარტო ამის გაფიქრებაზე თმები ყალყზე მიდგება.

— ეს არ უნდა მოხდეს, — გაცხარდა მოხუცი. —სიკვდილი არ ჰკლავს, მხოლოდ ცხოვრება ჰკლავს. და გახსოვდეს, თავი არასოდეს იგრძნო მარტოდმარტო. სადაც არ უნდა იყო შენ, მე ყოველთვის შენთან ვიქნები. როცა მოვკვდები, მეც შენს გვერდით ვიქნები, რომ გზა გიჩვენო.

და ასევე მშვიდად, როგორც მე ახლა

კი არ არის მთავარი, არამედ ეპოქის, გარემოსა და თვით პიროვნების შესაფერისი საერთო სტილი; ამდენად, მხატვრული გემოვნების ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია სტილის გრძნობა.

ჩვენ ვცხოვრობთ უდიდესი ტექნიკური პროგრესის, კიბერნეტიკისა და დინამიკის ეპოქაში. ცხადია, მე-18 საუკუნის დამძიმებული მოდა ახლა ფეხს ვერაფრით ვეღარ მოიკიდებს. სწორედ ეპოქამ მოითხოვა, როგორც ქალთათვის, ისე მამაკაცთათვის, მარტივი, მსუბუქი მოდა, ანუ ტანსაცმელი, რომელიც ადვილსახმარია, ადამიანს არ აწუხებს, არ ზღუდავს მის მოძრაობას. მაგრამ გარდა ამ საერთო სტილისა, თავისას მოითხოვს ის გარემო, სადაც ესა თუ ის პიროვნება ტრიალებს. ზოგჯერ ასეც ხდება: ვნახავთ, ვთქვათ, ფრანგული მოდების ახალ ჟურნალს და ამ ჟურნალის შესატყვისად ვიცვლით გემოვნებას, ნაცვლად იმისა, რომ ამ ჟურნალიდან ჩვენი შესაფერისი ტანსაცმელი შევარჩიოთ. გვავიწყდება ის უბრალო გარემოება, რომ თვით ფრანგი ხალხი არ მისდევს ამ მოდას. დააკვირდით დოკუმენტურ თუ მხატვრულ კინოსურათებს. რა უბრალოდ და „ჩვენებურად“ არის ჩაცმული პარიზელი მოქალაქე. ბევრი ის მოდა, რომელსაც ჟურნალი გვაწვდის, არ გამოდგება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

აქვე შენიშნავთ, რომ მხატვრული გემოვნებით ჩაცმა-დახურვის დარგში



საფრანგეთი სხვა ქვეყნებზე მაღლა დგას. მაგრამ იგივე ფრანგული მოდა ჩვენს ხასიათს, გარემოს, საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობებს უნდა შევუფარდოთ, თორემ ტაკიმასხარას დავემსგავსებით. ამიტომ. ჩვენი სამეჯლისო კაბაც, ე. ი. სპეციალურად სათეატრო ან საწვეულებო კაბა, უპრეტენზიო, სადა, ნაკლებ მორთულ-მოკაზმული უნდა იყოს. თქვენ თქვენი ასაკიც გამშვენებთ, თქვენი ლამაზი, ცოცხალი, ციმციმა თვალები, შესანიშნავი, გლუვი და ფეროვანი სახის კანი, ტანის ელასტიურობა. სამკაულები შემოინახეთ უფრო გვიანი ასაკისათვის. ჩვენი გოგონები და ბიჭუნები ზამთარში, ძირითადად ფორმით დადიან, ამიტომ ამ პერიოდში ერთი ან ორი კაბა თუ ჯემპერი სავსებით საკმარისია.

ამას თქვენ გიყვებით, მითხრა ეს სიტყვები მოხუცმა მაშინ. და ეს თქვა ისე ვაჟკაცურად, რომ მიუხედავად განვლილი წლებისა, მე ახლაც მიჭირს ამაზე ლაპარაკი და სული მეხუთება.

მოხუცი ისეთგვარად შემომცქეროდა, თითქოს უნდოდა, სამუდამოდ აღებეჭდა ჩემი სახე მეხსიერებაში, რომ იმ ქვეყნად ვეცნე და გზა ეჩვენებინა.

შემდეგ თავისი ცხოვრების ამბები გაიხსენა. ისეთ რამეებს მიყვებოდა, რის გაგებასაც მისგან არაფრით არ მოველოდი. მელაპარაკებოდა, როგორც ტოლი ტოლს და არა როგორც , მამა შვილს. მიამბობდა ქალაქებზე, რომლებიც ენახა, მიაბობდა თავის მტერ-მოყვარეზე, თავის სიხარულსა და მწუხარებაზე.

მივხვდი, მოხუცს არაფრის წაღება არ უნდოდა საფლავში.

მისი ნაამბობი ჩემთვის აპრილის წვიმასავით იყო. არასოდეს გამიგია იმდენი, რამდენიც იმ ღამეს. ოჰ, რამდენი რამე სცოდნია მოხუცს!

მივხვდი, ერთბაშად ვიპოვე ყველაფერი, რაც ასე მაკლდა; მივხვდი, ამ ერთი ღამის განმავლობაში მამამ მომცა ყველაფერი, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე თანდათან უნდა გამეგო და მესწავლა.

ახლა თავს მშვიდად ვგრძნობდი. მოხუცი ისე ახლოს იყო ჩემთან, თითქოს უბეში მეჯდა.

— გახსოვდეს,— განაგრძობდა ის,— როცა აღსასრული დადგება, ნუ შეშინდები: მე იქ დაგელოდები. ამ ქვეყნად ორი რამაა მარადიული—დაბადება და სიკვდილი. როგორი სიკვდილით მოკვდები, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ სიკვდილამდე ყველაფერი ისე უნდა გააკეთო, რომ მშვიდად სიკვდილი შეგეძლოს. და კიდევ გახსოვდეს — სჯობს დაიღუპო, ვიდრე იცოცხლო და სიცრუეს იცავდე.

ასე ლაპარაკობდა მოხუცი მთელი ღამე, მე კი, მისი საწოლის კიდეზე ჩამომჯდარი, ვისმენდი. ყოველ მის სიტყვაზე ვგრძნობდი, როგორ ახლოვდებოდა აღსასრული.

მამლებმა რომ იყივლეს, მოხუცმა მითხრა: „მაგრად მომიჭირე ხელი“. მე შევასრულე მისი თხოვნა. მოხუცი კიდევ უფრო გაფითრდა. ტუჩები ააცმაცუნა, თითქოს ლოცულობდა. მაგრამ მე კარგად ვიცოდი: მოხუცი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ხომ არ დარჩა რაიმე მნიშვნელოვანი ჩემთვის უთქმელი.

იმ წუთს საზარლად აყმუვლდნენ ძაღლები.

ვიგრძენი როგორ მოეშვა მისი ხელი. მამას შუბლზე ვაკოცე, როგორც ამას, ჩვეულებრივ, შინიდან წასვლისას ვაკეთებდი ხოლმე, და თვალები დავუხუჭე.

ასე მოკვდა მამაჩემი და მეც ასე მასწავლა სიკვდილი. მან მითხრა როგორ მოვქცეულიყავი, შემპირდა, რომ მუდამ ჩემს გვერდით იქნებოდა. და ის ახლაც ჩემთანაა, რათა ნახოს და დარწმუნდეს, რომ ვეფხვის შვილი — ბოკვერია. ამიტომ, ნუ გაშინებთ ჩემი სიმშვიდე. ყოველი ნიჩაბი მიწის ამოღების შემდეგ სულ უფრო ნაკლებ ტვირთს ვგრძნობ მხრებზე.

აი, საფლავის გათხრამდე სულ ცოტაღა დამრჩა.

ვიცი: სიკვდილის საათი რომ ჩამოჰკრავს, სიცოცხლისთვის ხელის პოტინი უაზრობაა. მამაჩემი მართალი იყო, როცა ამბობდა: სიკვდილი მხოლოდ ურა ცხენია, რომელიც დღეს თუ ხვალ უნდა გაიხედნოსო.

ამიტომ ვარ მე ასე მშვიდი, სინიორ. და თქვენც, სერჟანტო, თქვენც მშვიდად უნდა იყოთ. დღეს თქვენ მე მხვრეტთ, ხვალ კი თვითონ მიიღებთ საპასუხო ტყვიას...

რა გაეწყობა, საფლავი უკვე მზადაა. ერთადერთი, რასაც გირჩევთ, ესაა — რაც შეიძლება, კარგად ჩამფლათ სამარეში.

მიბრძანეთ, სერჟანტო, სად დავდგე, და მესროლეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა საქმეა გვიანი გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდი. ამ დროს ფორმის ტანსაცმელი უკვე შენახულია. — ბავშვები დროს, უმეტესად, პარკებსა და სკვერებში ატარებენ. ამიტომ, საჭიროა სათანადო ჩაცმაც. ზაფხულის მზიარულ ბუნებას უყვარს ღია-ცოცხალი ფერები, მჩატე კაბები და ბიჭის მსუბუქი პერანგები, ჭრელი ტანსაცმელი; მაგრამ აქ ზომიერების დიდი გრძნობაა საჭირო. ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ კაბა უნდა გიხდებოდეთ. მაგ., როდესაც პატარა ტანის, გამხდარ გოგონას აცვია უზარმაზარი თაიგულებით დაჩითული კაბა — გოგონა იკარგება: ყვავილი ჩანს, კაბის პატრონი — არა! მაგრამ, როდესაც ასეთივე დაჩითული აცვია ზომაზე მეტად გასუქებულ ქალიშვილს, მაშინ მისი სიმსუქნე უფრო ხაზგასმულია. კაბის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ თქვენი სიმაღლე, თმებისა და თვალების ფერი. გემოვნება მარტო ლამაზი კაბის ჩაცმაში კი არ ჩანს, არამედ ჩაცმულობის მთელ ანსამბლში: აქ შედის ფეხსაცმელი, წინდა, ხელთათმანი, ქამარი, მძივები და ყველა სხვა აქსესუარი.

განსაკუთრებით უნდა გახსოვდეთ. რომ ტანსაცმლის სილამაზის პირველი პირობაა — მისი სიკოხტავე.

მაგრამ ერთი რამეც არ დაივიწყოთ: ძვირფასი სამეჯლისო კაბა მხოლოდ თეატრში ან წვეულებაზე უნდა ჩაიცვათ. იგივე კაბით სკოლაში რომ წახვიდეთ — ულამაზო იქნება, რადგან ეს სტილის დარღვევაა, — იქ იგი თეთრ ყორნად გამოჩნდება! ასევე ულამაზო იქნება თქვენი ლამაზი კაბა ტურისტულ ლაშქრობაში ან ზღვის ნაპირზე.

გოგონამ ლაშქრობისას სამეჯლისო კაბა რომ ჩაიცვას, ეს „მეშჩანობა" იქნება. თქვენ გგონიათ, აქ მხოლოდ ტანსაცმელია დამნაშავე?! ტანსაცმელი „მეშჩანობას" მხოლოდ ავლენს. ეს გოგონა იმიტომაა ასე ჩაცმული, რომ ბუნების სილამაზე არ იტაცებს, მას არც ამომავალი მზის სიდიადით ტკბობა შეუძლია და არც ზღვის ლურჯი, მოლივლივე ზედაპირი ხიბლავს. პირველ რიგში თავისი კაბა და ხელჩანთა დააყენა. ის ლაშქრობაშიც მხოლოდ საკოპწიაოდ და სხვისი წახედვით წამოვიდა...

ცალმხრივობა რომ არ დამწამოთ და ნაწყენი არ დარჩეთ, მე გაგახსენებთ თქვენს ზოგიერთ, მხოლოდ ზოგიერთ მეგობარ გოგონას — ზამთრის აგარაკზე. რამდენი ფული, დრო და ენერგია დაიხარჯა იმისათვის, რომ იგი ბაკურიანისთვის მომზადებულიყო: შარვალიც მშვენიერი შეუკერეს, ჯემპერიც მშვენიერი აცვია, კიდევ უკეთესი — ქუდი, ხელთათმანები... ლამაზი თხილამურებიც აქვს, რომლებზედაც ორი კვირის განმავლობაში არცერთხელ არ შემდგარა! იგი დილაადრიან ემზადება „სათხილამუროდ" გასასვლელად, დიდხანსა და მონდომებით იცვამს და მიდის... სასაუბროდ, სხვის გასაკილავად. სპორტი მას სულაც არ აინტერესებს.

მაგრამ, საბედნიეროდ, თქვენი თანატოლების უმრავლესობას „ელასტიური" შარვალი და „ნაჩოსიანი" ჯემპერი თვითმიზნად არ გაუხდია. — მათთვის მთავარია თოვლი, მზე, კოხტა-გორა, თხილამურები, თავბრუდამხვევი სრიალი... მათ უბრალოდ აცვიათ. თოვლში გორაობენ, კოტრიალობენ და ბედნიერად, ჯანსაღად კისკისებენ! აი, ესენი არიან ჭეშმარიტად ლამაზები, ესაა ჩვენი მომავალი, ჯანმრთელი თაობა. ლამაზი ხომ, პირველყოვლისა, გონიერი და სულიერად მდიდარი ადამიანია! ამიტომ ჩაცმა-დახურვა თვითმიზნად არ უნდა გავიხადოთ, თორემ დაგვამახინჯებს.

მე ვიცნობ გოგონას, რომელიც თავისი მეგობრის დაბადების დღეზე არ წავიდა ახალი კაბის უქონლობის გამო. შეიძლება ამ საქციელს რაიმე გამართლება მოეძებნოს? რა დაშავდებოდა, რომ ნახმარი, მაგრამ სუფთა კაბა ჩაეცვა, ან თუნდაც მოსწავლის ფორმით წასულიყო?



რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა თქვენს საშინაო იერზე. ზოგს ჰგონია, რომ სახლში შესვლისთანავე შეიძლება ქუსლებჩაკეცილი ფლოსტების და უღილებო ხალათის ჩაცმა. შინ ისევე კოხტა და ლამაზი უნდა იყოთ, როგორც გარეთ. ცხადია, საშინაო და საგარეო ტანსაცმელი უნდა განსხვავდებოდეს. საშინაოდ უფრო კარგია ფლანელი, ჩითი, სატინი. მჩატე ფეხსაცმელი, მაგრამ ყველაფერი ეს უნდა იყოს სუფთა და კოხტა.



რამდენიმე სტრიქონი უნდა დავუთმოთ თმის ვარცხნილობის საკითხებსაც. მოდა „ა ლა ბიტლზ", რომელსაც ზოგიერთი მოსწავლე ვაჟი მისდევს, ჭეშმარიტი სიმახინჯეა: თმა ჩამოშვებულია წარბებამდე, კისრამდე. ყურის ბიბილომდე, სახე თითქმის დაფარულია... ვეღარ გაარჩევ: ბიჭი დგას შენს წინ თუ გოგო!

ზოგიერთ გოგონას ისე აქვს თმა გაბურძგნული, რომ ილია ჭავჭავაძის ლამაზისეულს დამსგავსებია!

კინოსურათ „ჯადოქარის" შემდეგ, თითქმის ყველა ახალგაზრდა ქალიშვილმა თმა ჩამოუშვა და ეს „მოდა" დაამკვიდრა. მხედველობიდან ერთი რამ გამორჩათ: მათ კინოვარსკვლავ მარინა ვლადის კი არ მიბაძეს, არამედ მის მიერ განხორ-

ციელებულ ტყის ასულს, რომელიც ცივილიზაციისა და კულტურისაგან შორსაა დგას. განა „ჯადოქარი“ შეიძლება მისაბაძი იყოს? (მაშ, რატომ არ დაიწყეს ფეხშიშველა სიარული, მას ხომ ფეხსაცმელიც არ ეცვა!).

კინოფილმ „ბაბეტას“ შემდეგ ჩვენში ფეხი მოიკიდა ილბუზივით მაღალმა თმავარცხნილობამ. აქაც გვიღალატა დაკვირვების უნარმა: ბაბეტა თმააბურძგნული ოთახის დალაგების დროს, რითაც ხაზგასმულია, რომ მან სასწრაფოდ, უწესრიგოდ აიკრიფა თმები, რათა მუშაობაში ხელი არ შეშლოდა. მაგრამ გაიხსენეთ იგივე ბაბეტა სამეჯლისო კაბაში! თუმცა, ის აბურძგნული თმაც ლამაზად ჰქონდა ბაბეტას დალაგებული, იგი გრიმიორის მიერ იყო დავარცხნილი, თქვენ კი საკუთარი ფანტაზიით ბაძავთ მას და თავს იუშნოვებთ. ასეთი თმის ვარცხნილობის გამო, ზოგი ბავშვი სკოლის მერხიდან დაფაზე ნაწერს ვერ ხედავს. მართალია, ამ ბოლო ხანს დამკვიდრდა მაღალი თმის ვარცხნილობა, მაგრამ... არა თქვენთვის! თქვენ მოსწავლეები ხართ და ნუ დაარღვევთ მოსწავლეთათვის აუცილებელ, სადა სტილს!

კიდევ ერთი გარემოება: ზოგჯერ ქუჩაში წამწამებ და ქუთუთოებშეღებილ გოგონებს ვხვდებით და, რაც მთავარია, ეს „დაღებილი“ გოგონები ძალიან ამაყად მოაბიჯებენ. ისინი მართლა იპყრობენ მოქალაქეთა ყურადღებას, მაგრამ, ვაი ამ ყურადღებას! კაბა რომ უკუღმა ჩაიცვათ და ისე გაიაროთ, ხომ ყველა შემოგხედავთ! განა იმიტომ შემოგხედეს, რომ ეს ლამაზია!

თქვენს ბავშვურ, ლამაზ სახეს და ბავშვურ ღიმილს ეს საღებავები მხოლოდ ამახინჯებს და სასაცილოს ხდის. ჩვენმა ქართველმა მოცეკვა ვე ქალიშვილებმა საფრან-



გეთის დედაქალაქში ასეთი კომპლიმენტი დაიმსახურეს: — რა მშვენიერნი, რა ლამაზები ხართ, ასეთი ბუნებრივები, შეუღებავები!..

ადამიანის გემოვნება ბინის კეთილმოწყობაშიაც ჩანს. ზოგიერთ ოჯახში შესვლისას ნივთების სიმრავლე და სიჭრელე ისე განგვაცვიფრებს, რომ კარებშივე შევჩერდებით, შესვლისთანავე კი დათვალიერების სურვილი დაგვებადება. ვათვალიერებთ და ვრწმუნდებით, რომ ზოგი ნივთი ძვირფასია, თავისთავად კარგია, ხელოვნების ნიმუშია. ზოგიც ულამაზოა. მაგრამ ყველა, ერთად აღებული, „მეშჩანურია“. ამ ოთახში ვერ დაისვენებ, ვერ იგრძნობ სიმშვიდეს, რადგან ეს ბინა ადამიანის სიამოვნებისათვის არც არის გამიზნული, ეს არის დიასახლისის ხარკი პატივმოყვარეობისადმი, ულაზათო მიმბაძველობა. აქ ადამიანი ემსახურება ნივთებს და არა — პირუკუ. ასეთი ბინა ღლის ადამიანს.

აი, შეხვალთ მეორე ოჯახში და. თვალში არც ერთი ნივთი არ გეცემათ; ბინა — ნათელი, ავეჯი — მჩატე, მარტივი, ლამაზი. ოთახში — სილაღე, თავისუფლება, ჰაერი... სწორედ მხატვრულმა გემოვნებამ განაპირობა ამ ბინის სითბო და საამურობა. ბუნებრივია, რომ პირველი ოჯახის დიასახლისი ადამიანებთან ურთიერთობაშიაც „მეშჩანური“ იქნება, იგი მუდამ ეცდება თავისთავი წინ წამოსწიოს, თავის გემოვნებას ხაზი გაუსვას, თავისი ნივთებით იამაყოს, უსათუოდ გაგიმასპინძლდეთ და კიდევ ერთხელ გაგაკვირვოთ ფაიფურისა და ბროლის ჭურჭლით. მეორე ოჯახის დიასახლისს კი თქვენთან სასიამოვნო ურთიერთობა აქვს წინა პლანზე წამოწეული, და ეს ნივთები, სავარძელი თუ ცხელი ყავა — ამ ურთიერთობის დამამშვენებელი მეორე თუ მესამეხარისხოვან ატრიბუტებად მიაჩნია.

კიდევ ერთი რამ. რა თქმა უნდა, ოჯახის უფროსები თქვენი მშობლები არიან, ბინაც მათი გემოვნებითაა მოწყობილი. მაგრამ, აბა რაა გასაკვირი იმაში, რომ თქვენ ხშირად მშობლების გემოვნება აღარ მოგწონდეთ. თქვენ უფრო ლამაზ ეპოქაში იზრდებით. თქვენს მხატვრულ აღზრდას მეტი ყურადღება ექცევა, საამისოდ უკეთესი პირობებია შექმნილი. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი მშობლების ბავშვობა, ჭაბუკობა ჩვენი ქვეყნის მძიმე წლებს დაემთხვა. მათ არ ეცალათ სილამაზისათვის, არც ამდენ სილამაზეს ხედავდნენ! მაგრამ, თქვენ უნდა აჯობოთ ძველ თაობას სულის სილამაზითაც. უხეშად ნუ გაუსვამთ ხაზს მათ „ჩამორჩენილ გემოვნებას“. აალაგეთ მათ მიერ სიყვარულით დალაგებული ნაქარგი ხელსახოცები თუ ზედმეტი ფაიფური, სთხოვეთ, ოჯახიდან გაიტანონ ზედმეტი ავეჯი, — დედები ეცდებიან დაგიჯერონ. ერთი ახლოს რომ მიხვიდეთ, ლოყაზე ეამბოროთ და თბილად უთხრათ: — დედიკო, ეს უკვე დიდხანს გვემსახურა, ავიღოთ ახლა, ან შევცვალოთ, — დედა ყველაფერს მიხვდება და გაიხარებს, რომ ასეთი მოყვარული და ოჯახის სილამაზისთვის მზრუნველი შვილი ჰყავს!

# გიგლია თადიაური

ქართველ სახალხო გმირს — გიგლია თადიაურს სამარადისო სიცოცხლე დაუმკვიდრა უცნობმა ხალხურმა მოლექსე ქალმა, ბალადაში „შატილს გადიდდა ხოხობი“. დღემდე მოაღწია სხვა გადმოცემებმაც, რომლებიც მოწიწებით იხსენიებენ გიგლია თადიაურს.

გიგლია თადიაური ფშავ-ხევსურეთის სოფელ ახადის მკვიდრი ყოფილა. მშობლებმა და მშობლიურმა გარემომ მას თავიდანვე ჩაუნერგეს ფაქიზი, თანაც გმირული სული. გიგლია ბავშვობიდანვე ეჩვეოდა ხმალში გასვლას, ფარიკაობას, და კარგადაც დაუფლებია მას. თავის ტოლებში ვერავინ სჯობნიდა თურმე. უკვე ჭაბუკობიდანვე ფარ-ხმალს აღარ იშორებდა.

გიგლიას მშობლიურ სოფელში, მაღალ გორაზე, ამ სოფლის ერთ თავკაცს, სახელად გოდერძის, ჰქონდა ციხე-სიმაგრე, სადაც თავის სახლობაც ეყენა.

გადმოცემით, გოდერძის ჰყოლია მშვენიერი ქალიშვილი თამარი, რომელიც იშვიათად თუ გადმოდგებოდა ციხე-გალავანზე. ამ დროს ყველა მისი ცქერით ტკბებოდა.

ერთ დღეს, როდესაც გოდერძი სხვაგან იყო წასული, მის ციხეს თავს დაესხა შვიდი ქისტი ძმა. მათ გატეხეს ციხის ცხრა კარი და თამარ ქალი გაიტაცეს — გადაატარეს ჯერ სოფელ ახადზე და შემდეგ სოფელ მათურზე.

გოდერძი შინ დაბრუნდა, გაიგო ეს უბედურება, ჩაჯდა იარაღში და მტერს გამოეკიდა. კვალს ვერ მიაგნო. ძალიან დაღონდა. რაღა გაეწყობოდა, სახლში ხელცარიელი დაბრუნდა. წინ გულშემოყრილი მეუღლე შემოხვდა. დედის მწუხარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. გოდერძიმ გადაწყვიტა — მეორე დღესაც წასულიყო მტრის კვალის მისაგნებად.

მოძალადეები თავს გამარჯვებულად თვლიდნენ, როცა მათ გზაზე გიგლია თადიაური შემოხვდათ. გიგლიამ იცნო გოდერძის ქალი თამარი, თვალზე ცრემლი შენიშნა, სახეზე — დიდი მწუხარება. გიგლიამ შეუძახა: — ეგ ქალი საიდან მოგყავთ, რად იცრემლება, მითხარით ჩქარაო.






მოძალადეებმა სიტყვა ბანზე აუგდეს. გიგლიამ ეს ვეღარ მოითმინა და შეუყვირა — მოდი, გაუშვით ეს ქალი, მუქარაზე ნუ გავალთო. როცა უარი მიიღო, გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა, რომელიც გიგლიას გამარჯვებით დამთავრდა. მან შვიდივე მოძალადე მოჰკლა და შვიდივეს მარჯვენა მოაჭრა, მათი ფარ-ხმალი თამარ ქალს მისცა და უთხრა:

— ახლა წადი შენს გზაზე და მამაშენს — გოდერძის უთხარი: მოძალადენი ვითომ შენ დახოცე, ჩემს სახელს ნუ ახსენებ. ჩვენ ამიერიდან და-ძმობაზედ ვიყოთო.

თამარქალმა ამის საპასუხოდ გიგლიას უთხრა:

— მე შენს სახელს არ ვიტყვი, ამ პირობას შეგისრულებ; მხოლოდ, შენ — ქმარი და მე — ცოლი.

გიგლია ამაზე არ დაეთანხმა. თამარქალმა, დიდი თხოვნის შემდეგ, გიგლია თადიაური შინ მიიყვანა და თავის დედ-მამას წარუდგინა. გოდერძი, რომელიც თურმე უბრად იყო გიგლიასთან, შეურიგდა, შეაქო გმირი და მადლობა გადაუხადა. თამარქალი და გიგლია ერთმანეთს გულმდუღარედ გამოეთხოვნენ.

ვაჟა-ფშაველამ თავის მეტად საინტერესო წერილში „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“ ასე დაახასიათა სახალხო გმირი გიგლია თადიაური:

„სოფელ ახადს ესხმიან თავს ქისტები. ციხე აიღეს და წაიყვანეს ტყვედ მშვენიერი ქალი... ეს ამბავი გმირმა გიგლიამ შეიტყო და გამოუდგა მეკობართ. თუმცა ქალის მამასთან მტრობა აქვს, მაგრამ ვაჟკაცური გული გიგლიასი, დამყარებული საზოგადოდ თემის სიყვარულზედ, აენთო. გიგლია მეკობართ წინ უხვდება. გმირი შვიდსავეს ჰკლავს, მოსჭრის მარჯვენებს, იარაღებს აჰყრის და ქალს აძლევს შინ წასაღებად, საჩუქრად. გიგლია როდი სარგებლობს შემთხვევით, ქალს დობას ეუბნება. იქამდე დიდსულოვანია რომ, არც კი უნდა გააგებინოს ვისმე, თუ იმან სახახელო საქმე ჰქნა და ვაჟკაცობა გამოიჩინა. გიგლიას შვიდი ქისტის მოკვლა არ უკვირს და არც სხვა უნდა გააკვირვოს ამით. კიდეც რომ დაიწყოს კვეხნა, ამით უფრო დაამცირებს თავისთავს, აბრუს გაიტეხს, რადგან გმირს არ შეშვენის კვეხნა და ტრაბახი“.

სამწუხაროდ, არავინ იცის რა ბედი ეწია ამის შემდეგ გიგლია თადიაურს.

ვახტანგ სიდამონიძე.

მხატვარი ლევან ცუცქირიძე.



დაბადების
60
წლისთავი

# ლავრენტი ჭიჭინაძე

საბავშვო მწერალს ლავრენტი ჭიჭინაძეს დაბადების 60 და სამწერლო მოღვაწეობის 35 წელი შეუსრულდა.

35 წელია, ლ. ჭიჭინაძე დაუღალავად ილვწვის ქართული საბავშვო ლიტერატურის ასპარეზზე. ქართველი ბავშვები კარგად იცნობენ მისი პატარ-პატარა მოთხრობებისა თუ ზღაპრების—„ცანცარას“, „ცოდნის მაძიებლის“, „თხა ბელასა“ და სხვათა გმირებს. ლ. ჭიჭინაძის ნაწარმოებები მკითხველში აღვივებენ ადამიანის ყველაზე ძვირფას თვისებებს: პატრიოტიზმს, სწავლისა და შრომის სიყვარულს, სიკეთისადმი ლტოლვას, კეთილშობილებას... მომხიბლავია მწერლის ლაღი თხრობა, მსუბუქი იუმორი, გულკეთილი დამოკიდებულება ნაწარმოების პერსონაჟებისადმი.

ლ. ჭიჭინაძე მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარდა და ახლაც ახმარს ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს. იგი კარგა ხანს ასწავლიდა სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას, მუშაობდა ჟურნალ „პიონერის“ პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „ოქტომბრელის“ რედაქტორად, „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორის მოადგილედ, ხოლო ამჟამად საბავშვო წიგნის სახლის დირექტორია.

ვულოცავთ ჩვენს ამაგდარ მწერალს დაბადების სამოცი წლისთავს და ვუსურვებთ—კვლავაც მრავალი ახალი ნაწარმოებით გაეხარებინოს ნორჩი მკითხველები.

ნინო ბეზარაშვილი.

## ხე—აფთიაქი

დასავლეთ აფრიკაში ხარობს ერთი უშნო, დაბრეცილი ხე, რომელსაც ხე — აფთიაქს ეძახიან. ამ ხის ყველა ნაწილი გამოიყენება ამა თუ იმ დაავადების საწინაალმდეგო საშუალებად: ფოთლებისაგან მზადდება კომპრესი, კანის ნახარშით კურნავენ დეზინტერიით დაავადებულთ, მერქნის ნახარშით — დაავადებულ კუჭს, ქერქის ნაყენით — მალარიასა და სისხლნაკლულებას, ქერქს ღეჭავენ და ამით მკურნალობენ კბილებს.

აი, რატომ ჰქვია მას ხე—აფთიაქი.

## საშიში ფრინველი

კენიის, სუდანის, სენეგალისა და ტანგანიკის მოსახლეობას თავზარს სცემენ ბელურაზე პატარა ფრინველები. მზის ამოსვლისას ისინი ტყიდან მილიონობით გამოფრინდებიან გუნდებად, კალიებივით შეესევიან და ანადგურებენ ნათესებს.

ფრინველთმცოდნეთა ანუ ორნიტოლოგთა გამოანგარიშებით, ერთ მილიონ ამ პატარა ფრინველების თავდასხმას ერთ საათში შეუძლია გაანადგუროს 250 აკრი ნათესი, ერთი აკრი კი უდრის დაახლოებით 4000 კვადრატულ მეტრს. ამიტომ არის, რომ ამ ქვეყნების მკვიდრთ ამ ფრინველებისა უფრო ეშინიათ, ვიდრე ლომების და ნიანგებისა.

ამ ფრინველების გამრავლება ხდება აგვისტო-ოქტომბერში. ამ თვეებში ხეები მათი ბუდეებითაა დახუნძლული, თითოეულ ხეზე 400-დე ბუდეა.




ხალხი ერთიანი ძალით ანგრევს ბუდეებს, ანადგურებს კვერცხებსა და ბარტყებს.

მიმართავენ სხვაგვარ ღონისძიებებსაც, მაგალითად—სენეგალში დინამიტით აფეთქებენ ბუდიან ხეებს, როგორც იტყვიან, დედაბუდიანად სპობენ მავნებელ ფრინველებს.

## ღორმუცელა ობობა

ვინ მეტს ჭამს დღის განმავლობაში—ადამიანი თუ ობობა? ამის გამოსარკვევად ერთმა გერმანელმა მკვლევარმა შეიმუშავა სათანადო მეთოდი და ცდას შეუდგა... მეცნიერმა ობობა აწონა, დაამწყვდია ყუთში და ყოველი ულუფის მიცემისას წონიდა...

ობობას სამჯერ მიეცა დღის განმავლობაში საკვები — დილით საუზმე, შუადღით — სადილი და საღამოს — ვახშამი...

მკვლევარმა მიღებული შედეგების მიხედვით დაადგინა, რომ საუზმეზე ობობამ შეჭამა მის წონაზე ოთხჯერ მეტი საკვები, სადილობისას — ცხრაჯერ მეტი, ვახშმობისას — ცხრამეტჯერ მეტი.

ეს ციფრობრივი მასალა რომ დაამუშავა, მეცნიერმა დასკვნა გააკეთა: ადამიანს საკვების ასეთი მოთხოვნილება რომ ჰქონდეს, მას საუზმედ დასჭირდებოდა მთელი ხარი, სადილად — დამატებით ექვსი ცხვარი, ხოლო ვახშამზე არ ეყოფოდა ორი ხარი, ცხრა ცხვარი და ორი ღორი.

აი, რაოდენ ღორმუცელა ყოფილა ობობა...





ფოტომოყვარულებმა ალბათ ვერ წარმოიდგინეს, რომ ჩვეულებრივი რეზინის სათბური შეიძლება ფოტოფირების გამჟღავნებისათვის გამოდგეს. სათბურში ჩაასხი მდუღარე წყალი. სათბურს სამჟღავნებლიანი ჯამი დაადგი და არხეინად იყავი, — სამჟღავნებელს დროდადრო შეთბობა აღარ დასჭირდება, ტემპერატურა დიდხანს იქნება ერთ დონეზე.





რბილი სავარძლისა და ნოხების გასაწმენდად, მტვერსასრუტის გარდა, შეიძლება მთლად უბრალო რამ... სავარცხელი გამოიყენო. ამისათვის საჭიროა, ორი სავარცხელი ერთმანეთს მიატყუპო და ავეჯს გადაუსვ-გადმოუსვა. მტვერი დაელექტროვდება და სავარცხლების კბილებში მოგროვდება.

მუყაოს დიდი ფურცლების ხელში დაკავება, მით უმეტეს შორ მანძილზე თუ გინდა გადაიტანო, ძნელია. დახედე ამ სურათს და მიხვდები, რომ ეს არც ისე ძნელი საქმე ყოფილა.

თუ გინდა მოხარო ლითონის ფართო ფურცელი, გირაგს ისეთი მოწყობილობა გაუკეთე, როგორიც სურათზეა ნაჩვენები.

# მამისონი

მამისონის ანუ ჭანჭახის გადასავალი მეტად საინტერესო სანახავია. აქ გადის ოსეთის სამხედრო გზა, რომელიც რიონისა და ურუხ-არდონის ხეობებს აკავშირებს.

მამისონის გადასავალი დადაბლებული უნაგირა მთაა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 2829 მეტრს აღწევს. უნაგირას ახლოს, პატარა მოვაკებაზე მდებარეობს მეტეოროლოგიური სადგური, საიდანაც ცენტრალური კავკასიონის შესანიშნავი ხედი იშლება.

ჩრდილოეთით მოჩანან მთები: უილპატა, ზარამაგი და ჭანჭახი. ჭანჭახის მთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ ეშვება ჭანჭახის ფართო მყინვარი, საიდანაც სათავეს იღებს მდინარე ჭანჭახი. სამხრეთით ამართულან მთები: კაზი-ხოხი, საუ-ხოხი, ხალაცა და ზეკარი.

მამისონი ოსური სახელია და ნიშნავს: მა—არა, მისინ—მოსაგონარი, ესე იგი მოსაგონებლად არასასიამოვნო, არმოსაგონარი ადგილი. ეს სახელი ეწოდა იმის გამო, რომ ამ უღელტეხილზე გადასვლა, მისი სიმაღლისა და რელიეფის სირთულის გამო, საშიში და ძნელი იყო (ახლა გზა კეთილმოწყობილია).

მამისონის ქართული სახელია ჭანჭახი. ჭანჭახი ხევსურეთში ჭაობს ეწოდება. აქედანაა ნაწარმოები საკუთარი გეოგრაფიული სახელი — ჭანჭახი (მთა ჭანჭახი, ჭანჭახის გადასავალი, ჭანჭახის მყინვარი და მდინარე ჭანჭახი). ამ გადასასვლელის მიდამოებში ახლაც ვხვდებით ჭაობებს.

ზაფხულობით ჭანჭახის თვალწარმტაც მიდამოებს მრავალი მგზავრი, ტურისტი და ალპინისტი ნახულობს. მიუხედავად იმისა, რომ ჭანჭახის ოსური სახელი „მამისონი“ არმოსაგონარს ნიშნავს, ამ გადასასვლელის სილამაზით მოხიბლული ადამიანებისათვის იგი მარად მოსაგონარი რჩება.

შ. გოგატიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი სალონი

# ქეთევან მაღალაშვილი



ჩვენი დროის ქართველ მხატვართა შორის, თავის შემოქმედებითი შესაძლებლობითა და მიღწევებით, ოსტატობითა და სინამდვილის რეალისტური მხატვრული ასახვით, უაღრეს ყურადღებას იმსახურებს საქართველოს სახალხო მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი.

ქეთევან მაღალაშვილი დაიბადა ქალაქ ქუთაისში, 1894 წლის 19 აპრილს, სახაზინო პალატის მოხელის — კონსტანტინე მაღალაშვილის ოჯახში. ეს ოჯახი ახლოს მდგარა ქართული სახვითი ხელოვნების ცხოვრებასთან. კონსტანტინეს ახლო მეგობრობა ჰქონია უდროოდ გარდაცვლილ, მეტად ნიჭიერ მხატვართან — რომანოზ გველესიანთან.

მაღალაშვილების ოჯახში სწავლის ფასი კარგად იცოდნენ და პატარა ქეთევანიც სასწავლებლად თბილისის მესამე ქალთა გიმნაზიაში მიაბარეს. აქ იგი სწავლობდა 1901-1911 წლებში. გიმნაზიაში ხატვასაც ასწავლიდნენ. ქეთევანი მთელი თავისი არსებით გაიტაცა ხატვამ. მისი ნახატები უნახავს განსვენებული სახალხო მოქანდაკის, იაკობ ნიკოლაძის მეუღლეს — სულხანიშვილის ქალს, რომელმაც ქეთევანს თბილისის სამხატვრო სასწავლებელში შესვლა ურჩია. ქეთევანი კონკურსზე გასულა და იგი სასწავლებელში მიუღიათ. სასწავლებლის დირექტორი იყო ქართული კულტურის მოამაგე, მხატვარი ო. შმერლინგი, მასწავლებლები კი — იმ დროის ცნობილი მხატვრები: მ. თოიძე, ე. თათეოსიანი... შემდგომში, უკვე ხანდაზმული მხატვარი მ. თოიძე, იგონებდა რა ქეთევან მაღალაშვილის მაშინდელ ნამუშევრებს, ქებით იხსენიებდა ხოლმე მათ.

სამხატვრო სასწავლებელში ქეთევანი სამი წელი (1911-1913) სწავლობდა. იგი დიდად ჰყვარებიათ მასწავლებლებს. მას სკოლაში სახელი ჰქონია მოხვეჭილი, როგორც ნიჭიერსა და ბეჯით მოსწავლეს.

1914 წელს ქეთევან მაღალაშვილი მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში მისაღებ კონკურსში ჩაება. კონკურსში 420 კაცი მონაწილეობდა, ადგილი კი მხოლოდ 30 იყო... ქეთევანმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები და იგი ჩარიცხეს ე. წ. „თავის კლასში“. აქ მას ცნობილი რუსი მხატვრები — კორინი და გორსკი ხელმძღვანელობდნენ. ამ კლასის დამთავრების შემდეგ იგი „ფიგურის კლასში“ გადაიყვანეს. აქ მას ასწავლიდნენ ცნობილი რუსი რეალისტი მხატვრები — სატკინი და მილორადოვიჩი, „ნატურის კლასში“ კი — კარგი პორტრეტისტი და ფერმწერალი ს. ვ. მალიუტინი — მწერალ დ. ფურმანოვის ცნობილი პორტრეტის ავტორი.

მოსკოვში ცხოვრებისა და სწავლის პერიოდში (1914-1917 წ.წ.) ქეთევანი დიდ გულმოდგინებას იჩენს, ეცნობა რუსეთის მუზეუმებისა და გალერეიების ფონდებს, სამხატვრო გამოფენებს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ქეთევანი სამშობლოში ბრუნდება, რათა მხარში ამოუდგეს თანამოძმეებს. მაგრამ მძიმე იყო ის წლები მხატვრისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქ. მაღალაშვილი საქართველოს სურათების გალერეაში იწყებს მუშაობას. 1923 წელს სახალხო განათლების კომისარიატმა იგი საზღვარგარეთ მიავლინა სასწავლებლად. ქეთევანი პირველად ქალაქ მიუნჰენში ჩავიდა და იქ 5 თვე დაჰყო; მაგრამ მხატვრის სული და გული ვერ შეეგუა მიუნჰენის სასწავლო ატმოსფეროს და იგი პარიზს გაემგზავრა.

მაღალაშვილი პარიზში სწავლობდა ე. წ. „კოლოროსის აკადემიაში“. აქ მოსწავლენი ძირითადად ნატურაზე მუშაობდნენ. მუშაობდნენ დამოუკიდებლად, ხელმძღვანელის გარეშე. ქეთევანს ძალიან კარგად ესმოდა მხატვრისათვის ნატურაზე მუშაობის მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ მოახერხა მან პარიზშიაც კი — მეოცე საუკუნის ამ ბაბილონში — შეენარჩუნებინა რეალისტი მხატვრის პოზიციები. საფრანგეთში ცხოვრებისას ახალგაზრდა ქალი დიდი გულისყურით ეცნობოდა მსოფლიო ხელოვნების იმ ნიმუშებს, რაც პარიზისა თუ მისთვის ხელმისაწვდომ სხვა ევროპულ მუზეუმებში იყო დაცული. ქეთევანი განსაკუთრებით სწავლობდა და აკვირდებოდა საპორტრეტო ჟანრის შედევრებს. აქ დაისახა ქეთევანმა მიზნად ადამიანის უაღრესად რთული სამყაროს გადმოცემა და მხატვრული ასახვა ფერწერის მეშვეობით. და იმ ხნიდან მოყოლებული, ქ. მაღალაშვილს ამ დიდი მიზნისათვის არ უღალატნია, არჩეულ გზიდან არ გადაუხვევია.

ქეთევან მაღალაშვილის მიერ შექმნილი სურათები დაცულია საბჭოთა მუზეუმებში, გალერეიებში და კერძო პირთა კოლექციებში. მხატვარი

უმთავრესად მუშაობს ზეთისა და პასტელის საღებავთა ფერებით და, ამდენად, იგი ძირითადად დაზგური ფერწერის წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს. ქეთევანი უმთავრესად თავის თანამედროვეს, ჩვენი ეპოქის ადამიანს ხატავს ხოლმე. ვის არ ნახავთ მის ნაწარმოებებში: მეცნიერსა თუ მწერალს, მხატვარსა თუ მსახიობს, მუშასა თუ სოფლის მეურნეს, ექიმსა თუ ინჟინერს, ხანდაზმულსა თუ ჭაბუკს... და ყოველი მათგანი სულჩადგმულია მხატვრის ნიჭით, მხატვრის დახელოვნებული მარჯვენით.

ქ. მაღალაშვილი უმთავრეს ყურადღებას უთმობს ადამიანის პირისახის გამოსახვას: თვალები, ტუჩები, შუბლი და სახის ოვალი მხატვრისთვის პიროვნების ხასიათის გადმოცემისა და გამოსახვის ამოცანას ემსახურება, მისთვის პორტრეტი ადამიანის ცხოვრებისა და ხასიათის მატიანეა. ამიტომაა, რომ მხატვარი იქ არის ხოლმე, სადაც ჩვენი ცხოვრების მაჯა სცემს. იგი ხატავს კოლმეურნეობების, სამგორის, ბულაჩაურისა თუ ვანთის მშენებლობათა მოწინავე ადამიანებს, ხატავს ომის გმირებს, წარმოების ნოვატორებს... და ყველაფერს ჰქმნის მართლად, მხატვრულად, მეტყველად... იგი მხოლოდ თავისთავსა ჰგავს და მხოლოდ იმას ხატავს, რაც მას ახარებს, რაც ცხოვრების მაჯისცემას აგრძნობინებს. მისთვის მხატვრობა არ არსებობს ცხოვრების სიმართლით გამოხატვის გარეშე, რომანტიკული სიხარულის გარეშე.

ქეთევან მაღალაშვილის მიერ შექმნილი ი. ნიკოლაძის (1922), ე. ახვლედიანის (1921, 1924, 1946), თ. ვირსალაძის (1930), ა. თოიძის (1933), ი. ნიკოლაძის, ე. ახვლედიანისა და თ. ჭავჭავაძის ჯგუფური პორტრეტი (1936), ვ. ანჯაფარიძის (1940), ს. ვირსალაძის (1941), პიანისტ ს. რიხტერის (1943), ე. ტაგერის (1943), კ. გამსახურდიას (1944), თამარ მეფის (1945), მ. თოიძის (1946), ს. ჩიქოვანის (1949), ნ. ვაჩნაძის (1951), ს. ზაქარიაძისა (1951) და სხვა პორტრეტები, ქართული ფერწერული პორტრეტის ისტორიაში საპატიო და მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ, ხოლო მათ ავტორს ახალი დროის ქართული რეალისტური ფერწერული პორტრეტის ერთ-ერთი ფუძემდებლისა და განვითარების მაღალ საფეხურზე ამყვანი მხატვრის სახელს უმკვიდრებენ.

შალვა კვასხვაძე.



#### ქვის ფული

მსოფლიოში ყველაზე დიდი ზომისა და ყველაზე მძიმე ფული კუნძულ იაპზეა (წყნარი ოკეანე) ხმარებაში. ეს ფული ქვისაგან არის გამოკვეთილი. რაც უფრო მოზრდილი ფორმისაა მონეტა, მით უფრო მეტი ღირებულებისაა იგი. მონეტები შუაში გახვრეტილია. თუ „ხურდაა", მას, უბრალოდ, თოკზე ააცვამენ და ისე მიაქვთ რაიმეს საყიდლად, მსხვილ მონეტას კი ნახვრეტში ჯოხს უყრიან და მიაგორებენ. ზოგჯერ ორ-სამ კაცს უწევს მისი გორება — იაპის შეძლებულ ოჯახებს რამდენიმე ათეული კილოგრამი სიმძიმის მონეტებიც კი აქვთ.

#### პირველობა დაკარგა

ერთი ბოსნიელი გლეხი — გაძიოსმანკარაკაპეტანოვიჩი — თავმომწონედ იტყოდა ხოლმე, მთელს იუგოსლავიაში ყველაზე გრძელი სახელი მე მქვიაო. მაგრამ აი, ერთ დღეს, მან ლიუბლიანიდან მიიღო წერილი, რომელსაც ხელს აწერდა ვინმე პაპანდოვალოროკომონდურონიკოლაკოპულოვსკი. ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზე დადგებოდა ჩვენი ბოსნიელი გლეხი.



#### ჭიანჭველები და ხანძარი

ამას წინათ, ფრანგმა ბუნებისმეტყველმა ქალმა — კომბმა საინტერესო ცდა ჩაატარა. მან ჭიანჭველების ბუდეში ჩადო ანთებული სტეარინის სანთელი. ჭიანჭველებმა განგაში „ატეხეს". თვალისდახამხამებაში მთელი ლაშქარი გარს შემოერტყა ხანძრის კერას და ჭიანჭველამჟავას ნაკადი მიუშვა ცეცხლისკენ (ჭიანჭველამჟავას შეიცავენ განსაკუთრებული შხამიანი ჯირკვლები). ერთი წუთის შემდეგ ხანძარი ჩამქრალი იყო. ყველაზე თავგამოდებული ორი ჭიანჭველა კინაღამ დაიღუპა. მათ დროზე მიუსწრეს „ამხანაგებმა" და ცეცხლს გამოსტაცეს.

#### ჩემპიონი უბედობაში

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოეწყო შეჯიბრება „მსოფლიოში ყველაზე უბედი ადამიანის" ტიტულისათვის. გაიმარჯვა 62 წლის პეტერ შპიგელმა — ერთი წუთის განმავლობაში მან ათასამდე სიტყვის მარცვალი წარმოსთქვა. როცა იგი გამოდიოდა შეჯიბრებაზე, გეგონებოდა, მაქსიმალურ სიჩქარეზე დაყენებულ მაგნიტოფონს უსმენო. ვინ იცის, როგორ ამაყობს პეტერ შპიგელი თავისი გამარჯვებით, — ხუმრობა ხომ არაა, „უბადლო უბედის" სახელი გქონდეს კაცს!..



#### ასი ათასი წლის სამართებელი

იპარსავდნენ თუ არა წვერს ჩვენი წინაპრები ასი ათასი წლის წინ? და თუ იპარსავდნენ — რით?

ამ რამდენიმე ხნის წინ საფრანგეთში, ნიცას მახლობლად, აღმოაჩინეს უძველესი დროის საცხოვრებელი გამოქვაბული. გამოქვაბულში ბევრი საოჯახო ნივთი და იარაღი იპოვნეს. არქეოლოგების აზრით, ძვლისა და კაჟისაგან გაკეთებული ყველა ეს საგანი დაახლოებით ასი ათასი წლის წინანა დამზადებული. პირველად იქნა აღმოჩენილი სამართებელი, რომელიც თანამედროვე სამართებლის „პაპისპაპად" შეიძლება ჩაითვალოს. იგი წარმოადგენს კაჟის ტარს. ტარს აქვს ჭრილი. ჭრილში მაგრდება ძვლის თხელი, გალესილი ფირფიტა. სწორედ ამ ფირფიტით იპარსავდნენ წვერს ქვის ხანის ადამიანები.

ეს ნაპოვნი საეჭვოდ ხდის იმ აზრს, რომ ჩვენი შორეული წინაპრები ყოველთვის გრძელთმიანნი და წვერგაუპარსავები იყვნენ.




# საუბარი მულტიპლიკაციაზე


ვახტანგ ბახტაძე,
კინორეჟისორი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.


## როგორ ცოცხლდება ნახატი ეკრანზე

მულტიპლიკაციური გადაღება არაა დაკავშირებული რეალური სინამდვილის უშუალო ანუ „პირდაპირ" გადაღებასთან, როგორც ეს ჩვეულებრივი კინოფილმების, განსაკუთრებით, დოკუმენტური ფილმების გადაღებისას ხდება. მულტიპლიკაციური ფილმის შექმნისას ჩვენ საქმე გვაქვს ე. წ. ფიქტიურ გადაღებასთან. ნახატ ფილმში, როგორც მოქმედების გარემო, ასევე მოქმედი გმირებიც მხატვრების ხელითაა შექმნილი.

მულტიპლიკაციური ფილმის გადამღები ანუ დამდგმელი ჯგუფის მეთაურია რეჟისორი, ამიტომ ასეთ ჯგუფს სარეჟისორო ჯგუფსაც უწოდებენ. ჯგუფის შემადგენლობაში რეჟისორის გარდა შედიან: დამდგმელი ანუ მთავარი მხატვარი, კომპოზიტორი, ხმის ოპერატორი, რეჟისორის, მხატვრისა და ოპერატორის ასისტენტები, მემონტაჟე და სხვ.

მულტფილმის გადაღებისათვის განკუთვნილი დრო ორ ძირითად პერიოდად იყოფა: მოსამზადებელ და საწარმოო პერიოდებად.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება ფილმის გადაღებისათვის საჭირო ყოველგვარი მოსამზადებელი სამუშაო.

რა სახისაა ეს სამუშაოები?

უპირველეს ყოვლისა, ეს არის სარეჟისორო ანუ სადამდგმელო სცენარის შედგენა რეჟისორის მიერ.

რეჟისორი ზუსტად ჰყოფს სცენარს ეპიზოდებად. ეპიზოდებს კი — სცენებად, ყოველ სცენას უკეთებს ზუსტ ქრონომეტრაჟს (რასაც მეტრებსა და წამებში გამოხატავს და, რაც სცენის მეტრულ სიგრძესა და ეკრანზე მისი დემონსტრირების ხანგრძლივობას ნიშნავს); გარდა ამისა, იგი სცენებს ე. წ. პლანებადაც ჰყოფს, იმისდამიხედვით, თუ რომელ მოქმედებას ან რომელ ობიექტს რა მანძილიდან სჭირდება ჩვენება: ახლოდან (მსხვილი პლანით), საშუალო მანძილიდან (საშუალო პლანით) და შორიდან (საერთო ანუ შორი პლანით).

სარეჟისორო სცენარში აღინიშნება აგრეთვე ისიც, თუ მოქმედების რომელ ნაწილში როგორი ხასიათის მუსიკა უნდა ჟღერდეს და რა ხანგრძლივობა უნდა ჰქონდეს მას. სპეციალურ გრაფებში ცალ-ცალკე აღინიშნება მოქმედ პირთა რეპლიკები და ხმაური (ხმაურში იგულისხმება: ფეხის ხმა, კაკუნი. ბრახუნი, წყლის ჩხრიალი, თოფის ხმა, ფრინველთა გალობა, ტრანსპორტის ხმაური და ა. შ.). საბოლოოდ. სიტყვიერი ფორმით დაწერილი სცენარი რეჟისორს, ასე ვთქვათ. „ხედვით" ფორმებში გადააქვს, რათა სიტყვებით აღწერილმა მოქმედებამ გამოსახულებითი ფორმა მიიღოს — ეკრანზე გამოჩნდეს.

სარეჟისორო სცენარზე მუშაობის პარალელურად მიმდინარეობს მოსამზადებელი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი სამუშაო — ფილმის მოქმედ პერსონაჟთა ტიპაჟის შექმნა.

ნატურულ-აქტიორული ფილმისაგან განსხვავებით, სადაც რეჟისორი მსახიობთაგან ან არამსახიობთაგან, თავისი შეხედულებისა და სურვილისამებრ, აარჩევს იმას, ვინც მისი აზრით ყველაზე უფრო შესაფერისია ამა თუ იმ როლისათვის, ნახატ ფილმში მოქმედ გმირებს ჩვენ თვითონ ვიგონებთ და ვხატავთ. რეჟისორსა და ფილმის დამდგმელ მხატვარს უამრავი ესკიზისა და ჩანახატის გაკეთება უხდებათ, ვიდრე სასურველ „ტიპს" მიიღებენ.

ხშირად ისეც ხდება, რომ რომელიღაც პერსონაჟის „პოვნა" ძალიან ძნელდება ხოლმე. სწორედ ასეთი შემთხვევების გამო წერს ხუმრობით, ცნობილი ამერიკელი რეჟისორ-მულტიპლიკატორი უოლტ დისნეი: „როცა ჩვენი წარმოსახვიდან აღებული პატარა არსება ჯიუტობს და არ გვემორჩილება, ჩვენ მას შეუბრალებლად წავშლით ხოლმე. რეზინის საშლელით".

აი, სარეჟისორო სცენარი მზადაა. ტიპაჟი ჩამოყალიბებულია. ახლა რეჟისორი გადადის მუსიკალური სცენარის დამუშავებაზე და შემდეგ, კომპოზიტორთან ერთად, ადგენს ფილმის მუსიკალურ გეგმას. ზუსტად დგინდება ფილმის მუსიკის არა მარტო სტილი, საერთო ხასიათი და ხანგრძლივობა, არამედ ცალკეულ პერსონაჟთა მუსიკალური დახასიათებაც, თითოეული ეპიზოდისა თუ სცენის შესატყვისი მელოდიური და რიტმული წყობა.

განსაკუთრებული სიზუსტე ესაჭიროება ისეთ დინამიკურ სცენებს, სადაც, ემოციური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით, მუსიკა მოძრაობასთან მჭიდროდ შერწყმული, ანუ სინქრონიული უნდა იყოს.

ამის შემდეგ, კომპოზიტორი იწყებს მუსიკის წერას. ჯერ კლავირის სახით, ხოლო რეჟისორის მიერ მისი მოსმენისა და მოწონების შემდეგ, საორკესტრო პარტიტურის დამუშავებაზე გადადის.

ამასობაში რეჟისორი, მხატვართან ერთად, სარეჟისორო სცენარის დაკადრვაზე მუშაობს. ამ სამუშაოს არსი იმაში მდგომარეობს, რომ სცენარში სიტყვიერად აღწერილი შინაარსი გრაფიკულად, ნახატების სახით იქნეს გადმოცემული. ეს კი იმიტომაა საჭირო. რომ ავტორის ჩანაფიქრი კიდევ უფრო მიუახლოვდეს იმ სახეს, რომელიც მან ეკრანზე უნდა მიიღოს. სცენარის ყოველი სცენა იხატება სახატავი ქაღალდის პატარა უჯრედებზე, რომელთაც ეკრანის ფორმა და პროპორციები აქვთ.

ყოველ უჯრედში ანუ კადრში მონახული უნდა იქნეს ამა თუ იმ სცენის ყველაზე უფრო მეტყველი კომპოზიცია, ზუსტად უნდა დამუშავდეს მიზანსცენა, წელიწადისა თუ დღეღამის დრო, სცენის საერთო „განწყობილება" და სხვა.

სცენარის დაკადვრის შემდეგ ნახატებს დიქტის გრძელ ფარზე (პლანშეტზე) დაკრავენ და კედელზე ჩამოჰკიდებენ.

ამრიგად, მომავალი ფილმის ყოველი კადრის სტატიური (უძრავი) გამოსახულება სარეჟისორო ჯგუფის მუშაკებს მუდამ თვალწინ აქვთ.

„—ამის შემდეგ, — ამბობს უოლტ დისნეი, — ჩვენ სცენარს აღარ ვკითხულობთ, ჩვენ მას ვუყურებთ, ვხედავთ მას".

ახლა უკვე საჭიროა დეკორაციების ანუ ფონების ესკიზების მომზადება, რომელთა მიხედვითაც, შემსრულებელი მხატვარი-დეკორატორები შემდგომში ფონებს დახატავენ. მომავალი ფილმის დეკორაციების ესკიზები, რომლებსაც დამდგმელი-მხატვარი ქმნის რეჟისორის ხელმძღვანელობით, წარმოადგენს ფილმის სტილისტური, ფერადი და კოლორისტული ამოცანის წინასწარ გადაწყვეტას.

ასევე წინასწარ ხდება მოქმედ გმირთა რეპლიკებისა და დიალოგების ჩაწერა მაგნიტურ ფირზე, რისთვისაც საგანგებოდ შერჩეულ მსახიობებს იწვევენ კინოსტუდიაში.

ფონოგრამაზე აღბეჭდილი ცალკეული სიტყვები და ფრაზები შემდგომში იშიფრება სათანადო სპეციალისტის მიერ და ზუსტად დგინდება არა მარტო ყოველი სიტყვის. არამედ ყოველი მარცვლისა და ბგერის — ხმოვნისა და თანხმოვნის — ჟღერადობის ხანგრძლივობა.

ამასობაში კომპოზიტორიც ამთავრებს საორკესტრო პარტიტურაზე მუშაობას. იწყება სამზადისი ფირზე მუსიკის ჩასაწერად. სტუდიაში მოჰყავთ სიმფონიური ორკესტრი, გუნდი და ხშირად ცალკეული სოლისტი-მომღერლებიც (როცა ფილმის სცენარით, სიმღერები არის გათვალისწინებული, როგორც ეს, მაგალითად, შ. გედევანიშვილისა და თ. მიქაძის ფილმ „ბეკეკამი" იყო, სადაც ბეკეკას უდარდელ სიმღერას რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ხარაძე ასრულებდა).

მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ სიმღერის ჩაწერა, ხმის ბუნებრივი ჟღერადობით, ყოველთვის როდია გამოსადეგი. ასე მაგალითად: ფილმ „ხელმარჯვე ოსტატის" მთავარი პერსონაჟის — ხელმარჯვე ოსტატის ხმის დადგენა ძალიან გაძნელდა იმის გამო, რომ ადამიანის ბუნებრივი ხმა სრულიად არ შეესაბამებოდა ხმას ოსტატისას, რომელსაც ლითონის სხეული ჰქონდა. საჭირო გახდა მსახიობის ხმის ხელოვნური დამახინჯება, რაც მიღწეული იქნა ხმის ჩამწერი აპარატისათვის სპეციალური მოწყობილობის დამატებით.

მუსიკის ჩაწერა რომ დამთავრდება, მუსიკალური ფონოგრამა იგივე იშიფრება, როგორც აქტიორთა რეპლიკების ფონოგრამა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მუსიკის გაშიფვრისას ფირზე ზუსტად აღინიშნება როგორც მუსიკალური ტაქტები, ნახევარტაქტები, მეოთხედტაქტები და სხვ., ასევე ყოველგვარი სახის აქცენტები. „დარტყმები" და ა.შ.

ეს აღნიშვნები გადაიტანება სპეციალურ, ე.წ. საექსპოზიციო ფურცლებზე, რომ შემდგომში ისინი გამოიყენოს მხატვარმა-მულტიპლიკატორმა ნახატი პერსონაჟის ასამოძრავებლად, ანუ ნახატის „გასაცოცხლებლად".

მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოთაგან აღსანიშნავია აგრეთვე ე.წ. ნატურგადაღებათა ჩატარება, რაც რამდენიმე სახის გადაღებას ითვალისწინებს:

1. ჩვეულებრივი ნატურის ანუ ბუნების გადაღება (ჩანჩქერი, დაბურული ტყე, იშვიათი ფორმის მთები და კლდეები, განსაკუთრებული თავისებურების მქონე დასახლებული პუნქტები. ზოგიერთ ფრინველთა და ცხოველთა მოძრაობა და სხვა, რასაც შემდგომში გამოიყენებენ მხატვრები, როგორც დამხმარე მასალას ნახატების დამზადების დროს);

2. ცოცხალ მსახიობთა გადაღება ფილმის იმ ადგილებისათვის, სადაც მეტისმეტად რთული მოძრაობებია შესასრულებელი და, რომელთაც მხატვარი-მულტიპლიკატორი ზეპირად ვერ დახატავს;

3. ყოველგვარი ცეკვისა და თამაშობის გადაღება, მუსიკალური თანხლების სინქრონულად.

გადაღებული მასალის ნეგატივს, ფირის დამმუშავებელ ლაბორატორიაში გამჟღავნებისა და პოზიტივად დაბეჭდვის შემდეგ, მხატვრები სწავლობენ და გამოიყენებენ მას როგორც საორიენტაციო მასალას.

ამით მთავრდება მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები. ახლა საქმეში ებმებიან მხატვარი-მულტიპლიკატორები. მათ ევალებათ „გააცოცხლონ" ანუ აამოძრაონ ნახატი გმირები იმ ეპიზოდსა თუ სცენებში, რომლებსაც ისინი დამდგმელი ჯგუფიდან ღებულობენ რეჟისორის კონკრეტულ და ამომწურავ მითითებებთან ერთად.



კადრი ქართული ნახატი ფილმიდან „საყვირის შემდეგ".

* დასასრული. დასაწყისი იხ. „პიონერი" № 6.

მულტიპლიკატორი, რომელსაც ჩვენთან მსახიობის მოვალეობაც აკისრია, არა მარტო კარგად უნდა ხატავდეს, მას უნდა ჰქონდეს აგრეთვე მოძრაობისა და რიტმის გრძნობა, მუსიკალობა, მაყურებლის რეაქციის ცოდნა და, რა თქმა უნდა, გარკვეული აქტიორული მონაცემებიც უნდა გააჩნდეს.

და აი. მულტიპლიკატორი იწყებს სცენაზე მუშაობას. თვალსაჩინოებისათვის ავიღოთ სცენა ნახატი ფილმიდან „ხელმარჯვე ოსტატი“, როდესაც ვაჟას უდიერი ქცევით გულმოსული ოსტატი — ლითონის კაცუნა — ბიჭის ეზოდან მიდის (ნახ. 1). სამუშაო შედარებით ადვილია: უნდა გამოხატულ იქნეს მტკიცე ნაბიჯით მიმავალი აღელვებული ოსტატი. ხოლო ოსტატის ტიპაჟი, ისევე როგორც ყველა სხვა მოქმედი გმირისა, მხატვრებისათვის უკვე ცნობილია.

მულტიპლიკატორი, რომელსაც სცენის საწყისი ნახატი აქვს მიცემული, იწყებს ხატვას: საწყის მდგომარეობაში მოცემულ ოსტატს, რომელსაც ორივე ფეხი მიწაზე აქვს დადგმული, ოდნავ აწეულ მარჯვენა ფეხს დაუხატავს ახალ ქაღალდზე, ხოლო




ნახ. 1.

ოსტატის სხეულის უძრავი ნაწილების ზუსტ ასლს გადაიღებს იმავე ქაღალდზე. ქაღალდის ფურცელს სათანადო ნომერს აწერს, მაგალითად № 5. ეს მაშინ, თუ პირველი, საწყისი ნახატი აღნიშნულია № 1-ით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ორ ნახატს შუა საჭიროა სამი შუალედი ნახატის „ჩადგმა“: №2, №3 და №4, რომლებსაც შემდეგ შუალედი ფაზების სპეციალური მხატვარი შეასრულებს.

მულტიპლიკატორი განაგრძობს ოსტატის ფეხის თანდათანობით გადადგმას და მისი სხეულის სათანადოდ გადაადგილებას, ვიდრე ეს ფეხი მიწაზე არ იქნება დადგმული, რის შემდეგაც მეორე ფეხის გადადგმას შეუდგება იმავე ხერხით. მივიღებთ ნახატთა რიგს, სადაც ყოველი მომდევნო ნახატი ცოტათი განსხვავდება წინასაგან და, ამასთან, გამოტოვებულია შუალედი ფაზების ნახატები.

ამ ნახატებს ძირითად ნახატებს უწოდებენ და ისინი შესრულებულია ჩქარნახატის სახით, პერსონაჟის სწორი პროპორციების, ტიპაჟური მსგავსებისა და ცოცხალი მოძრაობის შთაბეჭდილების დაცვითა და შენარჩუნებით.

რის მიხედვით ხდება ნახატთა რაოდენობის გაანგარიშება სცენაში? საქმე იმაშია, რომ ნახატის ამოძრავება მჭიდროდ არის დაკავშირებული დროსთან. კინოფირი საპროექციო აპარატში ერთი წამის განმავლობაში 24 კადრის სიჩქარით გაივლის, მაშასადამე. თუ პერსონაჟმა უნდა შეასრულოს რაიმე ჟესტი, რომელიც, მხატვრის წარმოდგენითა და გაანგარიშებით, 2 წამ-დროს მოითხოვს, მაშინ ამ ჟესტის სწორად გადმოსაცემად 48 ნახატი უნდა დამზადდეს (რა თქმა უნდა, მულტიპლიკატორი ამ ნახატებიდან, დაახლოებით, მხოლოდ 10—15 ძირითად ნახატს შეასრულებს). თუ ჟესტი ან სხვა რაიმე მოძრაობა, მხატვრის წარმოდგენით, ნახევარ წამ-დროს საჭიროებს, მაშინ, ცხადია, საკმაო იქნება 12 ნახატის შესრულება.

რაც უფრო ჩქარია მოცემული მოძრაობა, მით უფრო ნაკლები რაოდენობის ნახატებია საჭირო. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ გავეცნობით მორბენალი ძაღლის მოძრაობას (ნახ. № 2). იგივე მოვლენას ვხედავთ ცხენის მოძრაობის ანალიზისას. ნაბიჯით მიმავალი ცხენი (ნახ. № 3) ნახატების გაცილებით მეტ რაოდენობას საჭიროებს, ვიდრე, მაგალითად, ჩორთით მორბენალი ცხენი.

გარდა საგანთა და სხეულთა მოძრაობისა, საჭირო ხდება ადამიანის პირის მოძრაობის — არტიკულაციის დახატვაც მისი ლაპარაკის დროს. დადგენილია ადამიანის პირის მოძრაობის სქემა სხვადასხვა ბგერების წარმოთქმის დროს. ნახატზე (№ 4) აღბეჭდილია ხელმარჯვე ოსტატის არტიკულაციის გამარტივებული სქემა, რომელსაც ვიყენებდით ჩვენს ფილმებში.

მულტიპლიკატორის მიერ შესრულებული სცენა — მულტიპლიკატი — საჭირო შესწორებების შემდეგ ეგზავნება ამოხატვის საამქროს.




ნახ. 2.

როდესაც სცენის ამოხატვა შესრულებულია. ხოლო მისი ხარისხი შემოწმებული, სცენა გადაიგზავნება შემდეგ საამქროში — ფაზების საამქროში, სადაც ფაზების მხატვრები მუშაობენ. ფაზების მხატვარმა უნდა დახატოს მოძრაობის ის შუალედები — ფაზები, რომლებიც თავის დროზე გამოტოვა მულტიპლიკატორმა.

სცენის ძირითად ნახატებს შორის შუალედი ფაზების დახატვის შედეგად, სცენის მოძრაობის ჯაჭვი შეკრულია და, ამდენად, ჩაფიქრებული საეკრანო მოქმედება შესრულებულია.

ამის შემდეგ სცენა, რომელშიაც ყველა ნახატი, პირველი ნომრიდან უკანასკნელამდე, უკვე თანამიმდევრობითაა დალაგებული, იგზავნება საკონტურო განყოფილებაში. აქ ამ ნახატებს ზევიდან ადებენ სტანდარტულ ზომაზე დაჭრილ ცელულოიდის გამჭვირვალე ფურცლებს და ზუსტად გადაიტანენ მასზე ნახატს ტუშის სპეციალური კალმით. ტუშის კონტური, რომლის სისქე ყველგან თანაბარი და უწყვეტია, წინასწარ არის დადგენილი. ამის შემდეგ ქაღალდის სცენა არქივს ბარდება და გზას ახლა ცელულოიდის დასტა განაგრძობს.

შემოქმედებისა და წარმოების კონვეიერს გამფერადებელ საამქროში მივყავართ, სადაც სცენაა გადაცემული. აქ, თვალსაჩინო ალაგას, კედელზე, დაფა ჰკიდია, რომელზედაც



ნახ. 3.

გაკრულია ამჟამად წარმოებაში მყოფი ფილმის ყველა გაფერადებული პერსონაჟის ნიმუში. ფერები დანომრილია. გამფერადებლები ფრთხილად აფერადებენ ცელულოიდის მეორე მხარეზე ტუშით მოხაზულ ნახატს.

როდესაც სცენის გაფერადება მთავრდება, მზა ნახატებს სპეციალურ თაროებზე აშრობენ, შემდეგ გულმოდგინედ სწმენდენ, ნომრების მიხედვით ალაგებენ და გზავნიან გადამღებ ანუ საოპერატორო განყოფილებაში.

მაგრამ, ვიდრე გადაღებაზე ვილაპარაკებთ, ცოტა ხნით სარეჟისორო ჯგუფს მივუბრუნდეთ და ვნახოთ, რა პარალელურ სამუშაოებს ეწევა იგი ამ მომენტში. ასისტენტებისაგან ვგებულობთ, რომ რეჟისორი გამხმოვანებელ პავილიონში ჩასულა და ფილმის „ხმაურების“ ჩაწერას ხელმძღვანელობს. ჩავდივართ პავილიონში და ვხედავთ: გახმოვანების ერთ-ერთ მუშაკს მკლავები დაუკაპიწებია, ხელები წყლით სავსე ავზში (აბაზანაში) ჩაუყვია და, რაც ძალი და ღონე აქვს, წყალს აჩხრიალებს. იქვე, სამფეხაზე, მიკროფონი დგას, ხოლო პავილიონის ნახევრად ჩაბნელებულ ნაწილში კინოეკრანი ციმციმებს, რომელზეც უწყვეტი რგოლით ბრუნავს ფილმის ერთი ეპიზოდი: ხელმარჯვე ოსტატი თავისი თვითმავალით ტბაში შეიჭრება და პატარა გემზე ჩამოსკუპებულ ბაყაყს წყალში გადააგდებს, რითაც გემის პატრონ გოგონას მადლობას იმსახურებს. გამხმოვანებელი მუშაკი ცდილობს, წყალი მაშინ აიჩხრიალოს, როცა ოსტატი ტბაში შეიჭრება, და ეს ხმაური ააყოლოს აგრეთვე სცენის სხვა მოქმედებას, რომელიც ტბაში ხდება.

შემდეგ ვგებულობთ, რომ ფილმის დამდგმელი-მხატვარი ფონების ანუ დეკორაციების საამქროშია და ეხმარება შემსრულებელ მხატვარს ჩვენი ნაცნობი სცენისათვის განკუთვნილი ფონის შესწორება-დამთავრებაში. ბოლოს, ფონი მზადაა და იგი გადასაღებად მიაქვთ. ჩვენც მივიჩქარით საოპერატორო ოთახში, რათა გადაღებას დავესწროთ.

ფონს კარგად ამაგრებენ გადამღებ დაზგაზე. რომელსაც ზემოდან დაჰყურებს ვერტიკალურად დაყენებული კინოგადამღები აპარატი. გადამღებ დაზგას ამოჭრილი ჩარჩო და სამთითა სამაგარი აქვს. ოპერატორი, რომელსაც გამნათებელი აპარატურა უკვე გამზადებული აქვს, ჩვენი სცენის № 1 ცელულოიდს სამთითაზე ამაგრებს და გადამღების ღილაკს ხელს აჭერს. გაისმის მოკლე ტკაცანი, რაც ნიშნავს იმას, რომ № 1 ნახატი, თავისი ფონით, გადაღებულია კინოფირის ერთ კადრზე. ოპერატორი ხსნის გადაღებულ ცელულოიდს და მის ადგილას ახლა № 2 ცელულოიდს ამაგრებს, შემდეგ № 3 ცელულოიდს და ა. შ. ფონი კი ბოლომდე უძრავად რჩება. ამრიგად, წყვეტილი, კადრობრივი გადაღების საშუალებით, სცენის ყველა ნახატი გამ-




ნახ. 4.

წკრივდა კინოფირზე და ახლა ამ ფირს ლაბორატორიაში გამჟღავნება და პოზიტივად დაბეჭდვაღა ესაჭიროება.

მთელი საწარმოო პერიოდის განმავლობაში, სარეჟისორო ჯგუფის მემონტაჟე ყოველდღიურად გადაღებულ სცენებს ერთმანეთთან აკავშირებს იმ რიგით, როგორც ეს სარეჟისორო სცენარშია ნაჩვენები. საბოლოოდ, მიიღება გორგალი. რომელიც ზუსტად იმ სიგრძისაა, როგორიც წინასწარ იყო დადგენილი.

ფილმის მონტაჟი დამთავრებულად ითვლება მაშინ, როცა მზად არის ის ოთხი გორგალი, რომლებიც აუცილებელია ფილმის დაბადებისათვის. ესენია:

1. გამოსახულების ფირის გორგალი; 2. მუსიკის ფონოგრამის გორგალი, რომელიც ზუსტად უნდა შეესატყვისებოდეს გამოსახულებას, 3. რეპლიკების გორგალი (იმ ადგილებში, სადაც ლაპარაკი არ არის, პაუზიანი ფირია ჩადგმული); 4. ხმაურების გორგალი.

როდესაც ეს ოთხივე გორგალი ერთმანეთთან სწორად არის შერწყმული და სინქრონულობა საბოლოოდ დაზუსტებულია, დაინიშნება ე.წ. გადაწერა, რომლის დროსაც ყველა ხმოვანი გორგალი (მუსიკის, რეპლიკების და ხმაურების) ერთ ფირზე გადაიწერება სპეციალურ, ხმის გადამწერ სააპარატუროში. ხოლო, როცა ეს გაერთიანებული ფონოგრამა ლაბორატორიაში გამჟღავნდება და დაიბეჭდება, შემდეგ მას გამოსახულების ნეგატივს შეუხამებენ, დაბეჭდავენ და ფილმის საბოლოო სახეს მიიღებენ, ახლა ფილმის ეკრანზე ჩვენება უკვე შესაძლებელია და ჩვენ დავინახავთ. თუ როგორ ამოძრავდება ეკრანზე ნახატი, რომელმაც სამულტიპლიკაციო წარმოების ასეთი რთული კონვეიერი გაიარა.

ახლა ვნახოთ, რით განსხვავდება თოჯინური ფილმის გადაღება ნახატი ფილმის გადაღებისაგან. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ აქ, მოქმედ გმირთა ტიპაჟის ესკიზების მიხედვით, თოჯინები მზადდება. თოჯინები სხვადასხვა მასალისაგან კეთდება. მათი კიდურები ე. წ. სახსრებზეა დამაგრებული, რათა, საჭიროების დროს, ხელით მათი ამოძრავება შეიძლებოდეს.

მოსამზადებელ პერიოდშივე იწყება დეკორაციების ესკიზების მიხედვით თვით დეკორაციების აშენებაც, რომლებიც ძალიან წააგავს ჩვეულებრივი კინოფილმის გადასაღებ დეკორაციებს, ოღონდ გაცილებით მცირე ზომისანი არიან. ასე მაგალითად, ძილისგუდა დათუნიას (ფილმიდან „ძილისგუდა“) მთელი კარ-მიდამო ერთ პატარა მაგიდაზე დაეტევა.

საწარმოო პერიოდში თოჯინების გადაღება სწარმოებს იმავე კინემატოგრაფიული პრინციპით, რომელიც კადრობრივი გადაღების მეთოდს გულისხმობს. აქ თოჯინას ამოძრავებს თოჯინის მატარებელი სპეციალისტი, რომელსაც მხატვარი-მულტიპლიკატორის ცოდნა და გამოცდილება აქვს; ხოლო ოპერატორი, ჩვეულებრივი გადამღები კინოაპარატით, ცალ-ცალკე იღებს თოჯინის მოძრაობის თითოეულ ფაზას.

მულტიპლიკაციური გადაღების ზეპირი, სიტყვიერი ახსნა, ცხადია, ამომწურავი ვერ იქნება. ამიტომ მინდა ვურჩიო მათ, ვისაც ეს საკითხი დააინტერესებს, მოვიდნენ ჩვენთან, კინოსტუდიაში, და ყველაფერი თავისი თვალით ნახონ. ტყუილად კი არაა ნათქვამი: ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სჯობიაო.



## კროსვორდი

აქ მოცემული უჯრედების ვერტიკალურ სვეტებში ჩასვით საქართველოში გავრცელებულ ყვავილთა სახელები ისე, რომ რგოლებით გამოყოფილ ჰორიზონტალურ უჯრედებში მიიღოთ ცნობილი ქართველი მწერლის სახელი და გვარი.

შეადგინა ქარელის რაიონის სოფ. ზღუდერის საშ. სკოლის X კლ. მოსწავლემ.
ციური კობესოვამ




### პასუხი № 6-ში მოთავსებულ „თავშესაქცევზე"

### კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 1. აპანი; 3. რეგბი; 5. ტატრა; 7. სეიფი; 9. გრანიტი; 10. ამური; 11. მგელი; 13. ნავთი; 14. იონჯა; 15. ცემი; 17. სელი; 19. იოდი; 21. ანტი; 23. კალია; 26. „ინაბი"; 27. პრაღა; 28. კრონი; 29. შიმშა; 30. ფესვი; 32. „ვალსი"; 34. ილინა; 35. კილი; 36. იხვი; 38. იონი; 41. ვიზა; 42. ფაუნა; 44. პიანო; 45. ირანი; 46. კელნი; 48. ჯაკარტა; 50. ირემი; 51. ურალი; 52. ანოდი; 53. იალტა.

**ვერტიკალურად:** 1. ალტი; 2. ისლამი; 3. როსინი; 4. ილია; 5. ტირიფი; 6. აგავა; 7. სიონი; 8. ინგირი; 10. ალმასი; 12. „ივერია"; 15. ცურტაველი; 16. დალი; 18. ინდონეზია; 20. იმერეთი; 21. ალაზანი; 22. მარსი; 23. კენტი; 24. ადიდა; 25. ჭავლი; 30. ფრანგი; 31. ხიდი; 33. ირტიში; 35. კუინჯი; 37. იბსენი; 39. ფუნჯი; 40. აარაუ; 43. ასკილი; 44. პარიზი; 47. ლემა; 49. ტონა.

## სარჩევი


გ. ძნელაძე — 25 წელი (ფოტორეპორტაჟი) . . . . . 1
ლ. მრელაშვილი — ღამე მეორე (მოთხრობა) . . . . 4
ტ. მებურიშვილი — ახალი ლექსები . . . . . 10
ნ. ნათაძე — რუსთაველი — მხატვარი (წერილი) . . 11
ოქროს საწმისი . . . 14
ნ. მგელაძე — მნათობად რომ იქცეს (ნარკვევი) . . . 15
ერაკლიო სეპედა—ნუ გიკვირთ, სერჟანტო! (მოთხრობა) . 16
ნ. ზოდელავა — ადამიანში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს (წერილი) . . . . . . 18
ვ. სიდამონიძე — გიგლია თადიაური (წერილი) . . . 23
ნ. ბეზარაშვილი — ლავრენტი ჰიჭინაძე (წერილი) . . . 24
ბუნების კარი . . . 24
მ. გოგატიშვილი — მამისონი (წერილი) . . . . . . 25
გამოგადგება . . . . 25
შ. კვასხვაძე — ქეთევან მალალაშვილი (წერილი) . . . 26
ჯადოსნური სარკე . . 27
ვ. ბახტაძე — საუბარი მულტიპლიკაციაზე (წერილი. დასასრული) . . . . . 28
თავშესაქცევი . 32
პიონერული მარში — (გარეკანის მესამე გვ.).


გარეკანის პირველ გვერდზე — „ზაფხულის დღე", მხატვარი **ზურაბ ფორჩხიძე.**


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაგელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ ქვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნის—5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91
გამომცემლობა «ნაკადული». უე 03107 ტირ. 41.080. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 24/VI-66 წ. სტამბის შეკვ. 1894. გამომც. შეკვ. 340. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.




# პიონერული მარში

მუსიკა ჯემალ ადამაშვილისა.

ტექსტი გ. კაკაბაძისა.

გულს გვიხარებს ცა ნათელი,
სიხარულის ღიმილი გვშვენის,
ხარობს და მღერის დიადი
სამშობლო ჩვენი.
გზას გვინათებს მომავლისკენ
სიყვარული ლამაზი მხარის,
მივყვებით მტკიცე ნაბიჯით
სამშობლოს ძახილს.

**სოლო:**

ჩვენ მუდამ მზად ვართ, სამშობლოვ,
შენს სიხარულს ნისლი ვაშოროთ.
წინ ნათელი გზით მივდივართ,
გვინდა მშვიდობა,
გვალაღებს მზიანი დილა,
გვინდა მშვიდობა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76157

# ქეთევან მაღლაკელიძე



ელგუჯა ამაშუკელი



გიგი ანდრიაძე

ჩვენი საუნჯე



თინა ზირსალაძე



ლია ჯაბუა